



The European Union
for Georgia

Human Rights for All



Empowered lives.
Resilient nations.

ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი "ადამიანის უფლებები ყველასათვის"

ადამიანის უფლებების სამდივნოსთან, საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციასთან პარტნიორობით

რეკომენდაციები საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესაფერისი სისტემისა და მიმდინარე საქმიანობების შესახებ

2017 წლის სექტემბერი

საერთაშორისო კონსულტანტი:

ბატონი დევიდ ჯონსონი, ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და
შეფასების ექსპერტი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ექსპერტი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის და
გაეროს განვითარების პროგრამის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

შინაარსი

სათაური

გვერდი

ცხრილების სია.....	3
მადლობა.....	4
აკრონიმების სია.....	4
ძირითადი რეკომენსაციების რეზიუმე.....	4
I. შესავალი.....	15
II. მიმოხილვა.....	17
ა. საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა კონტექსტში.....	17
ბ. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიზანი, ხანგრძლივობა და დამატებითი უპირატესობა.....	18
III. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დახვეწა.....	21
ა. ძირითადი საკითხები.....	22
i. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოცულობა.....	22
ii. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სტრუქტურა.....	23
iii. გეგმის შედგენა და პრობლემის ანალიზი.....	26
iv. პრიორიტეტული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების დაკავშირება.....	27
v. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინკორპორირება.....	28
vi. სამიზნე ჯგუფის /ზემოქმედების ინდიკატორები.....	29
vii. საქმიანობის/შედეგის ინდიკატორები.....	31
ბ. ლოგიკური ჩარჩოები.....	32
i. ლოგიკური ჩარჩოს ფორმატი.....	33
ii. ლოგიკური ჩარჩოს შინაარსი.....	38
გ. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სხვა საკითხები.....	39
i. ქალთა უფლებები.....	39
ii. სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა.....	40
iii. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაზრდა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში.....	40
iv. სხვა სამოქმედო გეგმების გადაფარვა.....	42
IV. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების გაუმჯობესება.....	44

ა. ანგარიშები.....	44
i. წლიური ანგარიშის მიზანი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე.....	44
ii. წლიური ანგარიშის სტრუქტურა.....	45
iii. კვარტალური და ნახევარწლიური ანგარიშები.....	48
ბ. მონიტორინგისა და ანგარიშების სისტემა.....	50
i. ონლაინ პლატფორმა მონიტორინგისა და ანგარიშებისთვის.....	50
ii. ანგარიშების სახელმძღვანელო პრინციპები ონლაინ პლატფორმისთვის.....	52
V. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერება.....	55
ა. ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო.....	55
ბ. თემატური სამუშაო ჯგუფები.....	56
გ. არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა.....	58
დ. ადამიანის უფლებათა სამდივნო.....	59
ე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, აქტივისტებთან და საზოგადოებასთან მუშაობა.....	62
VI. დასკვნები.....	64
დანართი I: 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმაში უწყებათა მონაწილეობის ანალიტიკური მიმოხილვა.....	65
დანართი II: საქართველოს მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპები მულტი-სექტორული სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგებაზე.....	68

ცხრილების სია

1. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ანგარიშგებისა და რეკომენდაციების შესრულების მიმდინარე ვალდებულებები (გვ. 20)
2. ბოლო პერიოდში დამტკიცებული ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმების შედარება (გვ. 22)
3. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემოთავაზებული სტრუქტურა (გვ. 25)
4. რეკომენდებული ლოგიკური ჩარჩოს ფორმატის ნიმუში ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის (გვ. 35)
5. წლიური ანგარიშისთვის რეკომენდებული ახალი სტრუქტურა (გვ. 49)
6. ონლაინ ანგარიშგების პლატფორმაში უწყების მიერ ინფორმაციის შეტანის შემოთავაზებული სახელმძღვანელო პრინციპები (გვ. 53)
7. შესაძლო ჩარჩო იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი მექანიზმების საკონსულტაციო სტატუსი გააჩნიათ (გვ. 60).

მადლობა

ავტორი გულითად მადლობას უხდის გაეროს განვითარების პროგრამას საქართველოში, განსაკუთრებით იმ პერსონალს, რომელიც ახორციელებს პროექტს - "ევროკავშირის/გაეროს განვითარების პროგრამა: ადამიანის უფლებები ყველასათვის" - გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რის გარეშეც ამ ანგარიშის შედგენა შეუძლებელი იქნებოდა. ავტორი ასევე გულწრფელ მადლიერებას გამოხატავს ადამიანის უფლებების სამდივნოს და მისი პარტნიორი უწყებების მიმართ მათ მიერ დახარჯული დროის და მოწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის. იმედია, რომ ეს დოკუმენტი სასარგებლო იქნება და მთავრობასა და ადამიანის უფლებების დამცველებს საქართველოში მათი მნიშვნელოვანი ძალისხმევის - ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ავტორი სრულადაა პასუხისმგებელი მოცემული ანგარიშის შინაარსზე და ნებისმიერ ფაქტობრივ შეცდომაზე, რაც მასში შეიძლება იყოს. აღნიშნულ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავს ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

აკრონიმების სია

CSOs – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

HR – ადამიანის უფლებები

HRBA – ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

HRNAP – ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა (საქართველოში ორწლიანი სამოქმედო გეგმა ადამიანის უფლებების ექვსწლიანი ეროვნული სტრატეგიის განსახორციელებლად)

M&E – მონიტორინგი და შეფასება

NGOs – არასამთავრობო ორგანიზაციები

NAP – ეროვნული სამოქმედო გეგმა

NHRSA – საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014 - 2020 წლებისთვის

OHCHR – გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი

PSDA – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

SIGMA - მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტი

TWG – თემატური სამუშაო ჯგუფი

UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა

ძირითადი რეკომენდაციების რეზიუმე

ქვემოთ თავმოყრილია ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები. არსებული პრაქტიკის ანალიზისა და რეკომენდაციების დასაბუთებისთვის, გთხოვთ, იხილოთ ანგარიშში წარმოდგენილი თავები და შესაბამისი პარაგრაფები.

მიმოხილვა

საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა კონტექსტში (პარაგრაფები 7-9)

საქართველო ერთ-ერთია იმ დაახლოებით 45 ქვეყნიდან, რომლებსაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა დამტკიცებული აქვთ. სხვა ქვეყნებში ეს პროცესი 1993 წლიდან დაიწყო. 2017 წლის ბოლომდე საქართველომ უნდა დაამტკიცოს მომდევნო, რიგით მესამე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა. მსგავსი თანმიმდევრობის დაცვით გეგმის მიღება მოცემულ ეტაპამდე მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ¹ მოახერხა. ამგვარად, საქართველო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთაგან, სადაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიღების პროცესი ინსტიტუციონალიზებულია. თუმცა, საქართველოს მიერ განხორციელებული ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელიც მოცემულ ანგარიშშია განხილული.

ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიზანი, ხანგრძლივობა და დამატებითი უპირატესობა (პარაგრაფები 10-18)

რეკომენდებულია, რომ მომდევნო ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ასახავდეს უფრო მეტად სტრატეგიულ მიდგომას, რათა განისაზღვროს და პრიორიტეტულად გამოცხადდეს ადამიანის უფლებათა დაცვის შეზღუდული რაოდენობის მიზნები და ამოცანები, რომლებიც უკეთ უნდა ჩამოყალიბდეს და უფრო თანმიმდევრულად გაიწეროს, ვიდრე ეს წინამორბედ გეგმებში იყო. ეს კი მოითხოვს ადამიანის უფლებათა სამდივნოს როლის გაზრდას, რათა მოხდეს უწყებათა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების წინასწარი ანალიზი და გეგმაში ერთგვაროვანი მიდგომის უზრუნველყოფა. დეტალური ინფორმაცია უწყების ამოცანებისა და საქმიანობის შესახებ წარმოდგენილია უწყების სამოქმედო გეგმებსა და მულტი-სექტორულ გეგმებში, რომლებიც საჯარო უნდა გახდეს უწყების ვებსაიტის მეშვეობით. გეგმის შედგენის მიმართ გაუმჯობესებული მიდგომა მოგვიანებით ხელს შეუწყობს ეფექტურ მონიტორინგსა და ანგარიშგებას.

საქართველოს გამოცდილების გათვალისწინებით, რაც ორწლიანი მულტი-სექტორული ეროვნული სამოქმედო გეგმების წარმატებულად მართვას გულისხმობს, რეკომენდებულია, რომ ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა გაიზარდოს. გეგმის შემუშავების ორწლიანი ციკლის შენარჩუნება ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის აქტუალობის შენარჩუნებას და ადამიანის უფლებათა მიმდინარე საკითხების გათვალისწინებას, რაც უზრუნველყოფს ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოსა და სხვა საერთაშორისო რეკომენდაციების დროულ გათვალისწინებას. თუმცა, რეკომენდებულია მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ვადა გაგრძელდეს, დაწყებული 2018 წლიდან სამი წლის ვადით იმისთვის, რომ ეს დროში დაემთხვეს 2020 წელს ადამიანის უფლებათა მიმდინარე სტრატეგიის ვადის ამოწურვას. ამგვარად, ადამიანის უფლებათა ახალი სტრატეგიის ამოქმედება დაემთხვევა ახალი სამოქმედო გეგმის დაწყებას 2021 წელს. ადამიანის უფლებათა მომავალი სტრატეგიის ხანგრძლივობა უნდა იყოს ან ოთხი ან ექვსი წელი ისე, რომ მისი ვადის ამოწურვა ემთხვეოდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ორწლიანი ციკლის დასრულებას.

ადამიანის უფლებათა შემდგომ სტრატეგიაში ფოკუსი ინსტიტუციური განვითარებიდან ადამიანის უფლებათა დაცვის იმ პრიორიტეტული საკითხების მოგვარებაზე უნდა გაფართოვდეს, რაც ნაწილობრივ გამოვლენილია ეროვნული პარტნიორებისა და საერთაშორისო მექანიზმების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო

¹ ავსტრალია, ინდონეზია, მექსიკა და ნეპალი.

გეგმა უკვე ითვალისწინებს ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოსა და სხვა საერთაშორისო რეკომენდაციებს, ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია ცხადად უნდა იყოს მითითებული ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში. მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმები უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოს ანგარიშების წარდგენასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებას.

ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დახვეწა

ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოცულობა (პარაგრაფები 21-22)

საქართველოს ბოლო ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ყოველწლიურად² სულ მცირე 250 აქტივობას ითვალისწინებს, რაც საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს სამჯერ აღემატება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ყურადღებას უფრო პრიორიტეტულ მიზნებსა და ამოცანებზე ამახვილებდეს და ეს მჭიდროდ დაკავშირებული ინდიკატორებისა და აქტივობების გამოყენებით მოხდეს. შედეგად მიღებული გეგმა უფრო მოკლე უნდა იყოს, მაგრამ უფრო მეტად აქცენტირებული და სტრატეგიული ბუნების, ვიდრე ეს რამდენიმე წამყვანი უწყების ამჟამინდელი მიდგომითაა გათვალისწინებული.

სტრუქტურა (პარ. 23-28; იხ. ცხრილი 3, გვ. 25)

რეკომენდებულია, რომ მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის თავები უფლებების მიხედვით გაიწეროს, რომლებიც დაჯგუფდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული უფლებების თავში. ასევე რეკომენდებულია, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმას ქონდეს შესავალი. იქ წარმოდგენილი იქნება მოკლე მიმოხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიასა და წინა სამოქმედო გეგმებზე მითითებით; ანგარიშის წერის, მონიტორინგისა და ანგარიშების პროცესი, ასევე მიმოხილული იქნება ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი სტრუქტურები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საბჭო, მისი თემატური სამუშაო ჯგუფები/კომისია და ადამიანის უფლებათა სამდივნო.

გეგმის შედგენა და პრობლემის ანალიზი (პარ. 29-30)

წამყვანი უწყებების მიზნების, ამოცანებისა და საქმიანობების რაოდენობების მნიშვნელოვანი შეუსაბამობების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ გეგმის შედგენის მითითებები გადახედული იქნას ერთიანი გაგებისა და თანმიმდევრული მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, რათა გეგმის შედგენის ეტაპზე პრობლემის ანალიზის სწორად გამოყენება მოხდეს.

პრიორიტეტული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების დაკავშირება (პარ. 31-34)

ადამიანის უფლებების უფრო სტრატეგიული სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედგენაზე ძალისხმევა უნდა გაწიონ მონაწილე წამყვანი უწყებების წარმომადგენლებმა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან არა მხოლოდ საქმიანობათა განხორციელებაზე, არამედ ადამიანის უფლებათა სამდივნოს წინაშე ანგარიშგებაზე, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების შესახებ მოკლე ანალიზი. ადამიანის უფლებათა სამდივნოს როლი არ უნდა იყოს მხოლოდ ანგარიშისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, არამედ გეგმის შედგენის პროცესში მონაწილე უწყებებისთვის შესაბამისი მითითებების მიცემა,

² ფაქტობრივი მაჩვენებელი უფრო მაღალია, რადგან 2016-2017 წლების საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ბევრი საქმიანობა ერთ აქტივობადაა წარმოდგენილი მაშინ, როცა მის უკან მრავალი აქტივობა მოიაზრება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმება და ანგარიშის წარმოდგენი უწყებებისთვის შესაძლო გადასინჯვის შესახებ რეკომენდაციების გაცემა.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინკორპორირება (პარ. 35-37)

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (HRBA) ძირითადი პრინციპები³ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედგენისას უმნიშვნელოვანესია. ანგარიშვალდებულებასა და მონაწილეობასთან დაკავშირებით, მომავალ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმების გაძლიერებას და ეს მექანიზმები ამოცანებისა და მიზნების მიღწევის პროგრესის ინდიკატორებად იყოს მითითებული. ეს შესაძლოა ასევე მოიცავდეს, მაგ.: (1) საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო კამპანიებს, სადაც მოხდება სამიზნე უფლებათა მფლობელებისთვის საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; როგორც უნდა მიმართონ მათ მთავრობას ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას დახმარებისთვის; პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის და საჩივრების განხილვის არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციას; და (2) გასაჩივრების სხვადასხვა პროცედურებისა და მექანიზმების არსებობისა და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით, მიზნად ისახავს უფლებების მფლობელთა გაძლიერებასა და მოვალეობის მქონეთა პასუხისმგებლობას.

სამიზნე ჯგუფი /ზემოქმედების ინდიკატორები (პარ. 38-41)

მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უფრო სისტემურად გამოყენებას სამიზნე ჯგუფის/ზემოქმედების ინდიკატორების მიმართ, რათა უფრო ზუსტად მოხდეს რეალური ზემოქმედებისა და შედეგების ასახვა. მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ასევე უნდა განსაზღვრავდეს ძირითად სამიზნე ჯგუფს/ზემოქმედების ინდიკატორებს თითოეული ამოცანისთვის, რაც პრობლემის ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს. ამ მიზნით, რეკომენდებულია, რომ მოხდეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადამიანის უფლებათა საბჭოს საქმიანობაში ჩართვა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ახალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის წერაში. სამსახურის წარმომადგენლებს შეუძლიათ რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა არსებულ საშუალებებზე, რომლებიც სამიზნე ჯგუფად/ზემოქმედების ინდიკატორებად გამოდგება. ისინი ასევე შეძლებენ ისეთი ახალი პარამეტრების შემუშავებაში დახმარებას, რაც უფრო უკეთ იქნება ადაპტირებული ადამიანის უფლებებზე. მდგრადი განვითარების მიზნებისათვის შემუშავებული რელევანტური ინდიკატორები შესაძლოა ასევე იქნას გამოყენებული სამიზნე ჯგუფად/ზემოქმედების ინდიკატორებად.⁴ ფოკუსის გადანაცვლება ამოცანებსა და სამიზნე ჯგუფზე/ზემოქმედების ინდიკატორებზე წლიური ანგარიშის ხასიათს შეცვლის და ნაცვლად საქმიანობების აღწერისა, იგი უფრო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების მიღწევის პროგრესის ანალიტიკური შეფასება გახდება.

აქტივობა /შედეგის ინდიკატორები (პარ. 42-47)

³ ესენია: უნივერსალურობა, განუყოფელობა; უფლებებს შორის ურთიერთდამოკიდებულება; დისკრიმინაციის აკრძალვა /თანასწორობა; მონაწილეობა /ჩართვა; და ანგარიშვალდებულება /კანონის უზენაესობა.

⁴ იხ. "მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების საბოლოო შემოთავაზებული ჩამონათვალი, UN document E/CN.3/2016/2/Rev.1, დანართი IV.

ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ძირითადად მოიცავს აქტივობებს/შედეგის იდიკატორებს, მაგრამ სხვადასხვა წამყვანი უწყების მიერ გამოყენებული განსხვავებული ფორმულირებები განხილული უნდა იქნას უფრო ნათლად ჩამოყალიბებული და თანმიმდევრული მიდგომის შემუშავების მიზნით. უფრო ერთგვაროვანი ფორმულირება ხელს შეუწყობს ასევე აქტივობის დასრულების შესახებ ანგარიშგების პროცესს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი პოლიტიკა, სახელმძღვანელო პრინციპები და სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებები დასრულებულად ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც ისინი შესაბამისი უწყების მიერ იქნება მიღებული. ამასთანავე, ინფორმაცია სამიზნე ჯგუფის პროცენტულ მაჩვენებელზე, რომელსაც ჩაუტარდა ტრენინგი, უნდა დაემატოს ლოგიკურ ჩარჩოს ისევე, როგორც გეოგრაფიული დაფარვის მითითება, ასეთის საჭიროების შემთხვევაში (მაგ. ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა რეგიონის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ თუ არა ტრენინგი ადამიანის უფლებებზე ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული პროგრამის ფარგლებში).

ლოგიკური ჩარჩოები (პარ. 48-51; იხ. აგრეთვე ცხრილი 4, გვ. 35)

რადგან მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმებიც, უპირველეს ყოვლისა, ლოგიკური ჩარჩოებისგან იქნება შედგენილი, რეკომენდებულია, რომ არსებული სამოქმედო გეგმის ლოგიკური ჩარჩოს ფორმატი და შინაარსი გადაიხედოს, რათა მიღწეული იქნას მეტი კონცეპტუალური სიცხადე, მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპების უკეთესი დაცვა და მონიტორინგისა და ანგარიშგების ხელშეწყობა. შემოთავაზებული ლოგიკური ჩარჩოს ნიმუში, რომელიც *ჰიპოთეტური ინფორმაციითაა შევსებული*, მე-4 ცხრილშია მოცემული.

როგორც წესი, ლოგიკური ჩარჩოების შედგენისას მეტი თანმიმდევრულობა, კონცეპტუალური სიცხადე და დისციპლინა ხელს უწყობს ეფექტურ მონიტორინგს, ამსუბუქებს ანგარიშგების ტვირთს უწყებებისთვის და დაინტერესებულ მხარეებს ეხმარება წლიური ანგარიშისთვის პროგრესის შეფასებაში.

ქალთა უფლებები (პარ. 52-53)

ზოგადად, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის „ქალთა უფლებების“ ნაწილი უნდა გადაისინჯოს მეტი შინაარსობრივი ნაწილის შემუშავების მიზნით იმისთვის, რომ უფრო ადეკვატურად აისახოს მასში ის ფართომასშტაბიანი ინიციატივები, რომლებსაც მთავრობა ამ სფეროში ახორციელებს. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ ინიციატივების შეჯამებაზე, რაც ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად ხორციელდება, რომელთა სამიზნე ჯგუფი ქალებია (გეგმებთან და მათი შესრულების ანგარიშების ბმულებთან ერთად), ან მოხდეს აღნიშნული გეგმებიდან პრიორიტეტული ამოცანების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ლოგიკურ ჩარჩოებში გათვალისწინება.

სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა (პარ. 54)

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ ვალდებულებების ჩართვაზე, რაც გაზრდის სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერას და ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებას (იხ. ცხრილი 3, პარ. 53). ამ მიზნით, შესაძლოა მითითებული იქნას იმ რეკომენდაციების რიცხვის ზრდა, რომლებიც ეფექტურად ხორციელდება, სადაც საწყის ინდიკატორად განხორციელების ამჟამინდელი მაჩვენებელი იქნება მითითებული.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაზრდა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში (პარ. 55-57)

მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების წერისას აუცილებელია მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხედვისა და კონტრიბუციის ინტეგრირება. ამ მიზნით, ადამიანის უფლებათა სამდივნომ უნდა მოახდინოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ახალი პროექტის შესახებ რეგიონული შეხვედრების ორგანიზება, რათა ხელი შეეწყოს ცნობიერების ამაღლებასა და ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობებიდან გამოხმაურების მიღებას. ადამიანის უფლებებზე საბაზისო ტრენინგები, მათ შორის სწავლება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ არსებითი იქნება ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ადგილობრივ დონეზე ეფექტური განხორციელებისთვის. იგი ჩართული უნდა იქნას შემოთავაზებული გეგმის მე-7 თავში.

სხვა სამოქმედო გეგმების გადაფარვა (პარ. 58-60)

ანგარიშების შედგენაზე პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა მითითება უნდა გააკეთონ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის იმ ჩანაწერებზე, რომლებიც დაკავშირებული ან დუბლირებულია სხვა სამოქმედო გეგმებში. ამ მიმართებაში, უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ სპეციალური ქვედანაყოფის შექმნა, რომლის ამოცანაც იქნება პოლიტიკის დაგეგმვა და ანგარიშგება მრავალრიცხოვანი სამოქმედო გეგმების შესაბამისად, როგორც ეს უკვე განხორციელდა რამდენიმე უწყების მიერ. ადამიანის უფლებათა სამდივნომ პრიორიტეტულად უნდა იმუშაოს SIGMA-ს ექსპერტებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მნიშვნელობისა და მასშტაბების შენარჩუნება და გაზრდა. სამდივნომ ასევე უნდა შეისწავლოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის სამდივნოების, ასევე უწყებების ანგარიშგებისა და დაგეგმვის სამსახურების გამოცდილება იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედგენის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესზე ზემოქმედება და ეფექტიანობა.

ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების გაუმჯობესება

წლიური ანგარიშის მიზანი (პარ. 61-63)

რეკომენდებულია, რომ წლიურმა ანგარიშმა:

- ა. წარმოადგინოს ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი სამთავრობო ინიციატივების აღწერა და ანალიტიკური მიმოხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტის, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო უწყებებისა და ექსპერტების რეკომენდაციებზე, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოთქმულ შემფოთებაზე რეაგირება;
- ბ. წარმოადგინოს განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაცია, რაც იქნება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დემონსტრირება;
- გ. წარმოადგინოს უფრო დეტალური ინფორმაცია მთავრობის მიერ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის (განსაკუთრებით სექტორული ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების ანგარიშების მეშვეობით);

დ. მოახდინოს ინდენტიფიცირება და ანგარიშგება იმ შესაბამისი გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, რომლებიც განხორციელების ინდიკატორებად გამოიყენება;

ე. შეასრულოს საკონტაქტო პირის როლი მთავრობასთან (მათ შორის, პარლამენტსა და სასამართლო სისტემასთან), ასევე ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან კონსულტაციების, განხილვებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; და

ვ. შეასრულოს იმ ინსტრუმენტის როლი, რომელიც ხელს შეუწყობს ცენტრალური და რეგიონული მთავრობის ყველა დონეზე საჯარო მოხელეებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ზოგადად, საზოგადოების წარმომადგენელთა შორის, ადამიანის უფლებებზე ცნობიერების ამაღლებას.

წლიური ანგარიშის სტრუქტურა (პარ. 64-71)

წლიური ანგარიშის შემოთავაზებული სტრუქტურა, რომელშიც გათვალისწინებულია მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები, წარმოდგენილია ცხრილში #5, გვ. 49. როგორც შემოთავაზებულ ელემენტებში ჩანს, წლიურ ანგარიშში ანალიზი მიზნებსა და ამოცანებზე, და არა საქმიანობებზე უნდა იყოს კონცენტრირებული. მომავალ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში წამყვანი უწყებები მიზნად უნდა ისახავდნენ უფრო შეზღუდული რაოდენობის პრიორიტეტული მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრას. ამის მიღწევა კი შესაძლებელია გეგმის შედგენის პროცესში სიტუაციური ანალიზის უფრო მოწესრიგებულად ჩატარებისა და წამყვანი უწყებების მიერ საკუთარ ფორმულირებებში უფრო თანმიმდევრული მიდგომის უზრუნველყოფის გზით.

ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ მაღალ დონეზე შედგენილი წლიური ანალიტიკური ანგარიში ადამიანის უფლებათა საბჭოსა და ადამიანის უფლებათა სამდივნოს „ფლაგმან“ პუბლიკაციად უნდა გადაიქცეს, რომელსაც ყოველწიურად პარლამენტში, სამოქალაქო საზოგადოებასა და დონორ ორგანიზაციებში ელოდებიან. მან შესაძლოა ასევე შეასრულოს უფრო ეფექტური ინსტრუმენტის როლი, რომელიც ხელს შეუწყობს ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოებისა და სხვა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა მექანიზმების წინაშე ანგარიშგებას. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წლიური ანგარიში პარლამენტში მის განხილვამდე, ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დამცველი საზოგადოებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

კვარტალური და ნახევარწლიური ანგარიშები (პარ. 72)

პასუხისმგებელმა უწყებებმა კვარტალურად უნდა განაახლონ ინფორმაცია ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შესახებ და წარუდგინონ იგი ადამიანის უფლებათა სამდივნოს. განხორციელების შესახებ ნახევარწლიური მიმოხილვა, რომელიც უწყებების მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაკეთდება, შემუშავებული და წარდგენილი უნდა იქნას ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის მის შუა წლის შეხვედრაზე.

მონიტორინგისა და ანგარიშების სისტემა (პარ. 73)

ადამიანის უფლებათა სამდივნომ უნდა იხელმძღვანელოს მაღალ დონეზე შემუშავებული ონლაინ მონიტორინგისა და ანგარიშების პლატფორმით, რათა მოხდეს ანგარიშების

წარმოდგენი უწყებებისთვის ადეკვატური მითითებების მიწოდება, მათი მუშაობის ხელშეწყობა და ანგარიშების საერთო სტანდარტების შესრულება.

ონლაინ პლატფორმა მონიტორინგისა და ანგარიშებისთვის (პარ. 74-79)

აუცილებელია, რაც შეიძლება მალე შეიქმნას ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგისა და მასში განახლებების შეტანის ონლაინ პლატფორმა. აუცილებელია ყურადღება მიექცეს SharePoint-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, რომელიც დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს. ადამიანის უფლებათა სამდივნომ უნდა მოიწვიოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რათა მოხდეს მათი გამოცდილების გაზიარება SharePoint-ის პროგრამული უზრუნველყოფის მიგრაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაზე ანგარიშების მიზნებისათვის გამოყენების შესახებ.

SIMORE-ი (იმპლემენტაციის მონიტორინგის ონლაინ ინსტრუმენტი), როცა იგი ხელმისაწვდომი იქნება გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მეშვეობით, განხილული უნდა იქნას, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობას ადამიანის უფლებათა საკითხებზე და საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო რეკომენდაციებზე რეაგირებას. სახალხო დამცველის ოფისმა ასევე უნდა განიხილოს SIMORE-ის ინსტრუმენტის შემოღება, რათა მისი მეშვეობით მოხდეს ოფისის მიერ გაკეთებულ რეკომენდაციების წინ წამოწევა და მთავრობის მიერ რეაგირების ხელშეწყობა, მათ შორის ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მეშვეობითაც.

ანგარიშების სახელმძღვანელო პრინციპები ონლაინ პლატფორმისთვის (პარ. 80-86)

აქტივობებისა და იმ ამოცანების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, რაზეც ანგარიშება ხდება, ანგარიშის ფორმატში გამოყოფილი ადგილი შეზღუდული უნდა იყოს, რათა არ მოხდეს ზედმეტად გრძელი და დეტალური ჩანაწერების გაკეთება. აქტივობის სტატუსის შესახებ ძირითადი ინფორმაციის გარდა, აუცილებელია ამოცანებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე შეფასების ჩართვა. შედეგებისა და სამიზნე ჯგუფის/ზემოქმედების ინდიკატორები მითითებული უნდა იქნას, ისევე, როგორც ნებისმიერი პრობლემისა და წარუმატებლობის მოკლე შეფასება. და ბოლოს, ნებისმიერი დასკვნა, რეკომენდაცია და/ან მომავალი ნაბიჯები მოკლედ უნდა იქნას მითითებული. იხ. ცხრილი 6, გვ. 53.

მოცულობასთან დაკავშირებით ონლაინ პლატფორმის მიერ დაკისრებულმა შეზღუდვამ უწყების საკონტაქტო პირების ანგარიშების ტვირთი უნდა შეამსუბუქოს, შეამციროს ინფორმაციის შეყვანაზე დასახარჯი დრო და გაამარტივოს სამდივნოს მიერ ინფორმაციის მართვა და ანალიზი. ონლაინ პლატფორმამ სამდივნოს უნდა მიაწოდოს ყველა უწყების მიერ წარმოდგენილი მონაცემები, რაც წლიური ანგარიშის საფუძველი უნდა გახდეს.

შეგახსენებთ, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წლიური ანგარიში ის ძირითადი დოკუმენტი იქნება, რომელზეც საქართველოში მოღვაწე ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მითითებას გააკეთებენ, იგი სახელმძღვანელო იქნება პოლიტიკის შემუშავებლებისთვის და ის ინსტრუმენტი გახდება, რომელიც მთავრობას საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში დაეხმარება. შესაბამისად, ძალისხმევა არ უნდა იქნას დაშურებული, რათა იგი რაც შეიძლება სასარგებლო და ხელმისაწვდომი იყოს.

ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერება

ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო (პარ. 88-90)

აუცილებელია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო რაც შეიძლება მალე შეიკრიბოს, რათა, სხვა საკითხებთან ერთად, მოხდეს მიღებული გაკვეთილებისა და ანგარიშის შედგენის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციების გათვალისწინება. ეს საქმიანობა 2018-2019 წლების ადამიანის უფლებების სამთავრობო ახალი სამოქმედო გეგმის შედგენამდე უნდა დაიწყოს, რათა უწყების პარტნიორებს ერთიანი წარმოდგენა ქონდეთ იმაზე, თუ რა იგეგმება.

თემატური სამუშაო ჯგუფები (პარ. 91-94)

იმისთვის, რომ არ მოხდეს საქმიანობათა გადაფარვა და რესურსების გაფლანგვა, რეკომენდებულია, რომ მოხდეს ბოლო დროს დაფუძნებული კომისიებისა და საბჭოების (ისეთები, რომლებიც ოჯახში ძალადობაზე, ბავშვთა უფლებებსა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებებზე მუშაობენ) ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემაში ინტეგრირება, რაც თავიდანვე გამორიცხავს ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებებზე ცალკეული თემატური სამუშაო ჯგუფების საჭიროებას. ნებისმიერი სხვა ადამიანის უფლებათა საბჭოებისა და კომისიის კავშირი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ უკვე შექმნილ თემატურ სამუშაო ჯგუფებთან გულდასმით უნდა იქნას განხილული. ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, რათა მან ეფექტურად შეძლოს იმ დამატებითი სამუშაოს შესრულება, რაც ახალი, მაღალი დონის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოებისა და მექანიზმების შექმნას მოაქვს შედეგად.

ადამიანის უფლებათა საბჭოს ბოლო შეკრების შემდეგ მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია მოხდეს თემატური სამუშაო ჯგუფების სიების გადახედვა და განახლება. მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს თემატური ჯგუფების ორგანიზებას ისე, რომ მათ მოიცვან მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის (იხ. ცხრილი 3) მიერ შემოთავაზებული შემდეგი თავები:

1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები
2. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები
3. ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა (ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს მონაწილეობით)
4. ბავშვთა უფლებები (დაფარავს ბავშვთა უფლებების კომისიას)
5. უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებები (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საბჭოს მონაწილეობით)
6. იძულებით გადაადგილებული პირების, მიგრანტების და ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს მცხოვრები პირების უფლებები.

არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა (პარ. 95-97)

თემატურ სამუშაო ჯგუფებსა და ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ კომისიებსა და საბჭოებს უნდა ეთხოვოთ არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაწილეობის მიმართ ერთიანი მიდგომის მიღება. ეს მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს ნათლად ჩამოყალიბებულ და ობიექტურ კრიტერიუმებს, რაც განსაზღვრავს მონაწილეობის ხარისხსა და შეღავათებს (იხ. ცხრილი 7, გვ. 60). ეს კრიტერიუმები გამოყენებული უნდა იქნას ასევე თემატური სამუშაო ჯგუფებისთვის, რომლებიც უნდა აღდგეს და მაქსიმალურად მოკლე ვადებში შეიკრიბოს. მას შემდეგ, რაც მოხდება წინასწარი შეთანხმება ყველა სამუშაო ჯგუფთან, მათ შორის თემატურად დაკავშირებულ კომისიებსა და საბჭოებთან, კრიტერიუმები და პროცედურები შეიძლება დამტკიცებული იქნას, ხოლო მისი დასრულება მომდევნო სამი წლის განმავლობაში მოხდეს მას შემდეგ, რაც განხორციელდება რეალური გამოცდილების შეფასება. ასევე რეკომენდებულია, რომ ადამიანის უფლებათა სამდივნომ განიხილოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებით დაკომპლექტებული არაფორმალური სამუშაო ჯგუფის შექმნა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ყველაზე აქტიური დაინტერესებული პირები და განიხილავენ სამოქალაქო საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებს, შეიმუშავენ რეკომენდაციებს და უფრო ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიას, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო რეგიონულ ორგანიზაციებთან მიმართებაში, რომლებიც ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე მუშაობენ (ორივე ტიპის ორგანიზაციები არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში). ძალისხმევაა საჭირო ასევე მედიასთან პარტნიორობის გაღრმავებისთვის, რაც ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზების გზით უნდა განხორციელდეს.

ადამიანის უფლებათა სამდივნო (პარ. 98-100)

ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა რიცხვი მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს იმისთვის, რომ გაზრდილი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. აუცილებელია ყურადღება მიექცეს სამდივნოზე მიმაგრებული თანამშრომლების რიცხვის ზრდას, რასაც უნდა დაემატოს სხვა დეპარტამენტებიდან თანამშრომლების მივლინება და შესაძლო საუნივერსიტეტო სტაჟირებები. დაგეგმვამ უნდა მოიცვას ტრენინგ შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა მოხდეს ახალი თანამშრომლების, ასევე ადამიანის უფლებათა ახალი პასუხისმგებელი პირების გადამზადება, რაც გამოწვეული იქნება მოსალოდნელი გადაადგილებებით. სამდივნოს, როგორც სამოქალაქო საზოგადოებასთან ძირითადი დამაკავშირებელი რგოლის, როლის გათვალისწინებით, აუცილებელია ყურადღება მიექცეს სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დაფუძნებას, რომელიც ექსკლუზიურად საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე იმუშავებს და იზრუნებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უფრო ფართო ჩართულობაზე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ასევე სამდივნოს მიერ განხორციელებულ სხვა სამუშაოებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, აქტივისტებთან და საზოგადოებასთან მუშაობა (პარ. 101-103)

ადამიანის უფლებათა სამდივნომ უნდა იფიქროს კომუნიკაციის უფრო ფორმალური სტრატეგიისა და პროგრამის შემუშავებაზე, რათა მუშაობა განხორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან და საზოგადოებრივ ლიდერებთან. აუცილებელია დონორი ორგანიზაციების დამატებითი დაფინანსების მოძიება, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია ურთიერთგაგების შეთანხმებებისა და მემორანდუმების მეშვეობით, რათა ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების

განხილვის მიზნით მოხდეს გასვლითი ღონისძიებების, ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება. UNDP-ს მიერ მხარდაჭერილმა კვლევამ, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა და ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირებულობას⁵ ეხება, უნდა შეასრულოს საბაზისო ფუნქცია მომავალი კვლევებისათვის და გათვალისწინებული იქნას სტრატეგიისა და აქტივობების შემუშავებისას.

დასკვნები (პარ. 104-105)

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა საქართველოში და მისი მხარდამჭერი პროცესი და მექანიზმები საერთაშორისო დონეზე უკვე საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს. საქართველოში გამოწვევაა, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე იყოს ადაპტირებული, ითვალისწინებდეს მიღებულ გაკვეთილებს, აერთიანებდეს მთავრობის ადამიანის უფლებების თემაზე არსებულ მრავალრიცხოვან ინიციატივებს თანმიმდევრულ და რეალისტურ შემოთავაზებებში იმისთვის, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს და სრული დატვირთვით განხორციელდეს.

⁵ „ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა“, ACT, 2017.

I. შესავალი

1. წინამდებარე საკონსულტაციო სამუშაო შესრულდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ ინიციატივას და მას მხარს უჭერს ევროკავშირი და გაეროს ოთხი სააგენტო - გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი, ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. პროექტის ზოგადი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციის და სამართლებრივი საკითხების სფეროში მომუშავე სამთავრობო ინსტიტუტების და პარლამენტის კომიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება და შესაბამისი მექანიზმების გაუმჯობესება საქართველოში ადამიანის უფლებების უკეთესად დაცვისთვის. პროექტი მოიცავს დახმარებას, რომლის მიზანია საქართველოს ადამიანის უფლებების საბჭოს და მისი სამდივნოს შესაძლებლობების გაუმჯობესება 2014-2020 წლების ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის, ასევე შესაბამისად 2014-2015 და 2016-2017 წლებისთვის მიღებული ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების პოლიტიკის შემუშავებისას, განხორციელებისა და მონიტორინგისას.

2. აღნიშნულის ფარგლებში, საკონსულტაციო სამუშაოს მოსალოდნელი შედეგები მოიცავს⁶:

ა. რეკომენდაციებს ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის და შესაბამისად მიღებული სამოქმედო გეგმების სათანადო მონიტორინგის სისტემის შესახებ;

ბ. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპებს შესაბამისი ინდიკატორების, შემოწმების მექანიზმების, მონაცემთა წყაროების და ფინანსური/ადამიანური რესურსების გათვალისწინებით;

გ. რეკომენდაციებს ადამიანის უფლებათა სამდივნოსთვის შემუშავებული სისტემის ფარგლებში მიმდინარე მონიტორინგის საქმიანობის შესახებ;

დ. სახელმძღვანელო პრინციპებს საქართველოს მთავრობის პარტნიორი სააგენტოების მიერ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგებისთვის; და

ე. ტრენინგებს ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის და სხვა სახელმწიფო უწყებების შერჩეული თანამშრომლებისათვის ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამისად მონიტორინგის სისტემის განხორციელებასა და ანგარიშგებაზე.

3. ამ მიზნისთვის, კონსულტანტი 2017 წლის 13 აპრილიდან 2 მაისამდე საქართველოში ჩამოვიდა. ამ პერიოდის განმავლობაში შეხვედრები ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებთან, ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების მრავალრიცხოვან პარტნიორებთან, მათ შორის, იმ წამყვანი სამინისტროების წარმომადგენლებთან, რომლებიც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებაში არიან ჩართულები; ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტებისა და საბჭოების მუშაობისა და მათი სამოქმედო გეგმების მხარდაჭერებთან; საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებთან; მთავრობის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შესრულებაზე ახორციელებენ კონტროლს; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების

⁶ UNDP-ს საკონსულტაციო სამუშაოს აღწერილობის შეჯამება “საექსპერტო მომსახურება საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებათვის“.

წარმომადგენლებთან, რომლებიც მხარს უჭერენ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმას ან მის შემუშავებაში არიან ჩართულნი; ტრენინგ ინსტიტუტების იმ წარმომადგენლებთან, რომლებსაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელება ევალებათ; სახალხო დამცველის ოფისის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსთან და საქართველოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც ადამიანის უფლებათა თემებზე მუშაობენ.

4. შეგროვებული ინფორმაციისა და შეხვედრების დროს გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, 2017 წლის მაისში წარმოდგენილი იქნა წინამდებარე ანგარიშის პირველადი პროექტი. საკონსულტაციო სამუშაოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი „შედეგი“ – „საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედგენის, მონიტორინგის და ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპების“ პირველადი ვერსია 2017 წლის ივნისში იქნა წარდგენილი. სახელმძღვანელო პრინციპების სამუშაო ვერსია ამ ანგარიშის პირველ სამუშაო ვარიანტში გამოთქმულ რეკომენდაციებს ეფუძნება. მეორე ვიზიტი საქართველოში 2017 წლის 6-დან 26 ივლისამდე პერიოდში განხორციელდა იმისათვის, რათა პარტნიორებისა და ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმით დაინტერესებული მხარეებისაგან გამოხმაურების მიღება მომხდარიყო იმ მრავალრიცხოვან წინადადებებსა და რეკომენდაციებზე, რომლებიც წინამდებარე ანგარიშშია წარმოდგენილი, ასევე სახელმძღვანელო პრინციპების ფორმასა და შინაარსზე. გაეროს განვითარების პროგრამისა და ადამიანის უფლებათა სამდივნოს ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე საკვალიფიკაციო ტრენინგი და შეხვედრა, რომელსაც გათვალისწინებული სამუშაოს აღწერილობის ფარგლებში, კონსულტანტი უძღვებოდა.

5. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკონსულტაციო სამუშაო განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სხვა საკონსულტაციო სამუშაოსთან კოორდინაციით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინტეგრირებაზე მიმართული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების გზით ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების მხარდაჭერას. ამ მიზნებისათვის, საერთაშორისო ექსპერტთან, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ქსელის წარმომადგენელთან, ბ-ნ პატრიკ ტვომისთან ერთად, რომელსაც აღნიშნული საკონსულტაციო სამუშაოს შესრულება ევალება, რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. არსებობს მოლოდინი, რომ ის ინსტრუმენტები, რასაც ბ-ნი ტვომი შეიმუშავებს და ტრენინგი, რომელსაც იგი მისი საკონსულტაციო სამუშაოს ფარგლებში ჩაატარებს, მნიშვნელოვანი იქნება ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის უფრო ეფექტურად შემუშავებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ეფექტურ მონიტორინგსა და ანგარიშგებას.

6. ეს სარეკომენდაციო ანგარიში და მისი თანმხლები დოკუმენტი „საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედგენის, მონიტორინგის და ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპები“ ასახავს 2017 წლის ივლისში ანგარიშგებაზე მომუშავე თანამშრომლებისათვის საკვალიფიკაციო ტრენინგების, პარლამენტისა და საზოგადოებრივი საზოგადოებების წარმომადგენლებთან შეხვედრების შემდეგ ადამიანის უფლებათა სამდივნოს, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმით დაინტერესებული პირებისა და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ კონტრიბუციას. იმედს გამოვთქვამთ, რომ ორივე დოკუმენტი საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესებისათვის მყარ ნიადაგს შექმნის.

II. მიმოხილვა

ა. საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა კონტექსტში

7. საქართველო ერთ-ერთია იმ დაახლოებით 45 ქვეყნიდან, რომლებსაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა აქვთ დამტკიცებული. ეს პროცესი პირველად 1993 წელს ავსტრალიაში დაიწყო. 2017 წლის ბოლომდე საქართველომ უნდა დაამტკიცოს მომდევნო, რიგით მესამე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა. მსგავსი თანმიმდევრობის დაცვით გეგმის მიღება მოცემულ ეტაპამდე მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ⁷ მოახერხა. ამგვარად, საქართველო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთაგან, სადაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიღების პროცესი ინსტიტუციონალიზებულია. იგი ასევე გვევლინება საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნად ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების თვალსაზრისით, შემდეგი მიზეზების გამო:

ა. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა მხარდაჭერილია მთავრობის დადგენილების საფუძველზე შექმნილი მექანიზმის (ადამიანის უფლებათა საბჭო და მისი თემატური სამუშაო ჯგუფები) მიერ;

ბ. შექმნილია და სრული განაკვეთით დაქირავებული თანამშრომლებით დაკომპლექტებულია ადამიანის უფლებათა სამდივნო, რომელმაც მხარი უნდა დაუჭიროს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმასა და მის ინსტიტუციურ რეგულირებას; და

გ. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წლიურ ანგარიშს პარლამენტი იხილავს.

8. საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ერთ-ერთი ყველაზე ამბიციურია საერთაშორისო მასშტაბით არსებულ სხვა გეგმებს შორის წამყვანი და მასში ჩართული უწყებების, აქტივობების რაოდენობის და შედარებით შემჭიდროვებული ვადების (მხოლოდ ორი წელი) თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ ამ ამბიციის გამოც, საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა მზარდი რაოდენობის გამოწვევათა წინაშე დგას მას შემდეგ, რაც 2014 წელს პირველი გეგმა იქნა დამტკიცებული. ყველაზე მთავარი გამოწვევებია:

ა. ზედამხედველობითი მექანიზმის (ადამიანის უფლებათა საბჭო) არარსებობა. საბჭოს სხდომა 2015 წლის აპრილის შემდეგ აღარ გამართულა;

ბ. ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა არასაკმარისი რიცხვი, რაც არ არის დავალებების ზრდის ტენდენციასთან თანხვედრაში;

გ. ყოველი ახალი ეტაპის დადგომასთან ერთად, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოცულობა იზრდება და სხვადასხვა უწყების არათანაბარი ხარისხით შედგენილი კონტრიბუციებით ივსება;

დ. ადამიანის უფლებათა საბჭოსა და იმ უწყებებს შორის ინფორმაციის ეფექტური მენეჯმენტი, რომლებიც მასთან თანამშრომლებენ;

⁷ ავსტრალია, ინდონეზია, მექსიკა და ნეპალი.

ე. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ბუნდოვანი კავშირი რამდენიმე მჭიდროდ დაკავშირებულ მულტი-სექტორულ გეგმასთან, მაგ. როგორცაა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, წამების აკრძალვა, გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება და ა.შ.);

ვ. წლიური ანგარიში, რომელიც შეიცავს მრავალ დეტალსა და არასაკმარის ანალიზს;

ზ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან ინტერესისა და მხარდაჭერის შემცირება;

თ. პარლამენტის მხრიდან ინტერესისა და მხარდაჭერის შემცირება.

9. საქართველოს მთავრობის პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს გრძელვადიანი სტრატეგიებისა და მოკლევადიანი ეროვნული სამოქმედო გეგმების შედგენას თითოეული სექტორისათვის ისევე, როგორც ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებას ძირითადი ურთიერთგადამკვეთი საკითხების თაობაზე, ახალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიღება შედარებით გარანტირებულია. თუმცა, აუცილებელია მთლიანად ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის პროცესის, დაწყებული მისი შედგენიდან და მონიტორინგიდან და დამთავრებული ანგარიშგებით, გაუმჯობესება. წინამდებარე ანგარიშში შემოთავაზებული რეკომენდაციები შეიძლება დაუყოვნებლივ შესრულდეს, ხოლო სხვებს კი ადამიანის უფლებათა საბჭოს უფლებამოსილების გამოყენება დაჭირდეს იმისთვის, რომ ამოქმედდეს.

ბ. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიზანი, ხანგრძლივობა და დამატებითი უპირატესობა

10. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი გეგმა დაიწერა, რომლებიც თითქმის ოთხი წლის განმავლობაში ხორციელდება, ჯერ კიდევ არ არსებობს კონსენსუსი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიზნისა და დამატებითი უპირატესობის შესახებ. ზოგიერთ დაინტერესებულ პირს მიაჩნია, რომ გეგმამ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სამთავრობო და წამყვანი უწყებების ყველა ინიციატივა უნდა ასახოს. სხვა დაინტერესებული პირები კი ემხრობიან ისეთი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც პრიორიტეტულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, ჩანს, რომ სხვადასხვა წამყვან უწყებებს ამ საკითხის მიმართ განსხვავებული მიდგომები აქვთ. ზოგიერთმა უწყებამ მრავალრიცხოვანი დეტალური მიზნები, ამოცანები და საქმიანობები ჩართო გეგმაში, რათა მომხდარიყო ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ფართომასშტაბიანი ინიციატივების დემონსტრირება. ამისგან განსხვავებით, სხვა უწყებები, მიუხედავად მათი აქტიური ჩართულობისა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სამუშაოში, უფრო სტრატეგიულად მოაზროვნენ ადამიანის უფლებების რაოდენობა და დეტალები შეზღუდეს.

11. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სხვა ქვეყნების მიერ დამტკიცებული ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმებში არ არის ადამიანის უფლებათა ყველა შესაძლო საკითხის ან ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აქტივობის ჩართვის მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შესაძლებელია, ამგვარი მოქმედება, ინფორმაციის მართვისა და ანალიზის თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა სამდივნოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევებს გააჩენს. იგი წამყვან უწყებებსაც დამატებით ტვირთს შეუქმნის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. როგორც ეს ერთ-ერთმა დაინტერესებულმა პირმა განაცხადა, რომელიც ბოლო დროს ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობდა, საბოლოო წლიური ანგარიში იმდენად მოცულობითი და

დეტალური იქნება, რომ იგი საინტერესო მხოლოდ მაგისტრატურის იმ სტუდენტებისთვის გახდება, რომლებიც კვლევას ატარებენ. აუცილებელია წამყვან უწყებებს შორის არსებობდეს ერთიანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოცულობის ინფორმაციას და რა დონის დეტალებს უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა. გასათვალისწინებელია, რომ დეტალური ინფორმაცია უწყების ამოცანებისა და აქტივობების სრულ მოცულობაზე მითითებული უნდა იყოს უწყების სამოქმედო და მულტი-სექტორულ გეგმებში, რაც უწყების ვებგვერდზე საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

12. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ მომდევნო ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ასახავდეს უფრო მეტად სტრატეგიულ მიდგომას, რათა განისაზღვროს და პრიორიტეტულად გამოცხადდეს ადამიანის უფლებათა დაცვის შეზღუდული რაოდენობის მიზნები და ამოცანები, რომლებიც უკეთ უნდა ჩამოყალიბდეს და უფრო თანმიმდევრულად გაიწეროს, ვიდრე ეს წინამორბედ გეგმებში იყო. ეს კი მოითხოვს ადამიანის უფლებათა სამდივნოს როლის გაზრდას, რათა მოხდეს უწყებათა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების წინასწარი ანალიზი და გეგმაში ერთგვაროვანი მიდგომის უზრუნველყოფა. გეგმის შედგენის მიმართ გაუმჯობესებული მიდგომა მოგვიანებით ხელს შეუწყობს ეფექტურ მონიტორინგსა და ანგარიშგებას.

13. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა, ანუ ორწლიანი პერიოდი, ის საკითხია, რომელიც პერიოდულად დგება. 1993 წლის შემდეგ 45 ქვეყნის მიერ მიღებული 65 ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმიდან, გეგმათა ხანგრძლივობა ორიდან თერთმეტ წლამდეა, საიდანაც მხოლოდ რამდენიმეა „უვადო“. საშუალო ვადა 4.6 წელია და ორწლიანი გეგმები მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს მიღებული.

14. მარკ ლაიმონის 2015 წელს გაკეთებული დასკვნის მიხედვით, ადამიანის უფლებათა სამდივნო ახალი გეგმის მომზადების პარალელურად, მიმდინარე გეგმის შესახებ ანგარიშგების „უსასრულო ციკლია ჩაკეტილი“. მისი რეკომენდაცია ვადის 4 წლამდე გაზრდა იყო.⁸ მიუხედავად ამისა, მან აღნიშნა, რომ გეგმის პერიოდულობის ორ წელზე მეტი ვადით გაგრძელებას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი სკეპტიკოსები ეჭვის თვლით უყურებენ, რადგან ფიქრობენ, რომ საბოლოო ვადის არსებობის გარეშე ვალდებულებები არ შესრულდება. მიმდინარე საკონსულტაციო სამუშაოს ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ ამგვარი სკეპტიციზმი კვლავაც ფართოდაა გავრცელებული და მას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გარდა, სხვებიც იზიარებენ.

15. საქართველოში ორწლიანი მულტი-სექტორული ეროვნული სამოქმედო გეგმების წარმატებულად განხორციელების გამოცდილების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა გაიზარდოს. ზემოაღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში, მოცემულ ანგარიშში მითითებული ბევრი რეკომენდაცია ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის დახვეწის პროცესში ინფორმაციის მართვის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. გეგმის შედგენის ორწლიანი ციკლის შენარჩუნება ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მიმდინარე საკითხების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში დროულად ასახვას და ადამიანის უფლებათა და სხვა საკითხებზე ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოსა და საერთაშორისო რეკომენდაციებზე

⁸ “Institutional strengthening and organizational development of the Human Rights Council of Georgia”, Marc Limon, 2015, page 5.

უფრო დროულ რეაგირებას. თუმცა, შესაძლოა უკეთესი იყოს მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის, რომელიც 2018 წელს დაიწყო, გამონაკლისის სახით სამ წლამდე გაზრდა იმისთვის, რომ მისი ვადის ამოწურვა დაემთხვეს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმდინარე სტრატეგიის დასრულებას 2020 წელს. ამგვარად, ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სტრატეგიის დაწყება დაემთხვევა ახალი სამოქმედო გეგმის ამოქმედებას 2021 წელს. ადამიანის უფლებათა დაცვის მომავალი სტრატეგიის ხანგრძლივობა ოთხი ან ექვსი წელის უნდა იყოს იმგვარად, რომ მისი ვადის ამოწურვა დაემთხვეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ორწლიანი ციკლის დასრულებას.

16. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მნიშვნელობა არსებითია და ამ პროცესს ხელი კვლავაც უნდა შეეწყოს. იგი ერთ-ერთი მცირეთაგანია იმ მულტი-სექტორული ეროვნული სამოქმედო გეგმებიდან, რომლის წლიური ანგარიში საჯარო დოკუმენტი ხდება და მას პარლამენტი განიხილავს. ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ასახავს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიას 2014 - 2020 წლებისთვის. სტრატეგიის მთავარი მიზანი იმ სამთავრობო ინსტიტუტების გაძლიერება და განვითარებაა, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩართულნი საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვაში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისა და კანონის უზენაესობასთან მიმართებაში. ზოგადად, სტრატეგია და მისი ეროვნული სამოქმედო გეგმები არ არის მიმართული ადამიანის უფლებათა სპეციფიკური პრობლემების მოგვარებაზე. ამის ნაცვლად, ივარაუდება, რომ თუ ადამიანის უფლებათა დამცველი წამყვანი უწყებების შესაძლებლობები განვითარდება და გაძლიერდება, ამგვარად ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა მოგვარდება ან თავიდან იქნება აცილებული.

17. საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების სრულად მოცვის ბოლოდროინდელი ტენდენციისა და „ინსტიტუციურ დემოკრატიაზე“ გადასვლის ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმები, უპირველესად, ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუციურ განვითარებაზე. თუმცა, მას შემდეგ, რაც დემოკრატიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად გაღრმავდა, ადამიანის უფლებათა დაცვის მომავალ სტრატეგიაში უნდა გაფართოვდეს ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტული პრობლემების მოგვარების ფოკუსი, რაც ნაწილობრივ ადგილობრივი პარტნიორებისა და საერთაშორისო მექანიზმების მიერაა განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა უკვე ასახავს ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოებისა და სხვა საერთაშორისო რეკომენდაციებზე რეაგირებას, ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია ნათლად უნდა იყოს მითითებული ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში. შედარებით მოკლე, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ორწლიანი ციკლი, გამოყენებული უნდა იქნას ბოლოდროინდელი რეკომენდაციების მიზნებსა და ამოცანებში გათვალისწინებისთვის. ეს ასევე შეუწყობს ხელს ხელშეკრულების მონიტორინგის სხვადასხვა ორგანოებისა და უნივერსალური პერიოდული გადახედვის კომიტეტისთვის ანგარიშების წარდგენას, რომელთაგანაც რამდენიმე მომავალი სამი წლის განმავლობაში უნდა იქნას წარდგენილი ან რომელთა წარდგენაც უკვე დაგვიანებულია (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1: საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ანგარიშგებისა და რეკომენდაციების შესრულების მიმდინარე ვალდებულებები

ბოლოდროინდელი რეკომენდაციები	განსახილველი ანგარიშები	წარსადგენი ანგარიშები
<p>ადამიანის უფლებათა კომიტეტი (2014)</p> <p>ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (2014)</p> <p>რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (2016)</p> <p>ბავშვთა უფლებების კომიტეტი (2017)</p> <p>უნივერსალური პერიოდული გადახედვა (2015)</p> <p>წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი (2015)</p> <p>ქალთა ძალადობის საკითხებზე, მის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე სპეციალური მომხსენებელი (2016)</p> <p>ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებში სპეციალური მომხსენებელი (2016)</p>	<p>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებათა კომიტეტი (2018)</p>	<p>ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (არ წარმოდგენილა 2002 წლის შემდეგ)</p> <p>კომიტეტი წამების წინააღმდეგ (არ წარმოდგენილა 2006 წლის შემდეგ)</p> <p>ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (2018)</p> <p>ადამიანის უფლებათა კომიტეტი (2019)</p> <p>რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (2020)</p> <p>უნივერსალური პერიოდული გადახედვა (2020)</p>

18. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების შესაბამისად ანგარიშების პროცესის მნიშვნელობის და ამ პროცესისთვის საჭირო მნიშვნელოვანი სამუშაოს გათვალისწინებით, მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოებისადმი წარსადგენი და რეკომენდაციების შესრულების ანგარიშების დროული წარდგენის საკითხს (იხ. ქვესათაური 7(გ), ცხრილი 3, გვ. 25).

III. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დახვეწა

19. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, ანგარიშებისა და შეფასების სისტემების გაუმჯობესება თავად სამოქმედო გეგმის ფორმისა და შინაარსის განხილვით უნდა დაიწყო. ის, რასაც სამოქმედო გეგმა შეიცავს, ორი წლის განმავლობაში ხორციელდება და შემდეგ მონიტორინგსა და ანგარიშებას ექვემდებარება. რადგან შინაარსი წამყვანია ანგარიშების პროცესისა, გეგმის შედგენა, გარკვეულწილად, პროცესის კრიტიკული მნიშვნელობის ნაწილია.

20. ისეთი მულტი-სექტორული გეგმის კიდევ ერთი გამოწვევა, როგორც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაა, გეგმის შედგენისას თანმიმდევრული მიდგომის უზრუნველყოფა, პრიორიტეტების განსაზღვრა და შეფასების შესაფერისი ინდიკატორების შერჩევაა. თუ გეგმის შედგენისას ეს საკითხები გათვალისწინებულია, შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის, ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და გეგმაში მონაწილე წამყვანი უწყებებისთვის მარტივი უნდა იყოს.

ა. ძირითადი საკითხები

ი. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოცულობა

21. ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა მასში გათვალისწინებული დიდი რაოდენობის აქტივობის გამო კრიტიკის საგანი გახდა, რომელთაგანაც ზოგიერთი მათგანი სტრატეგიული ამოცანების მიღწევისათვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. როგორც ეს მე-2 ცხრილშია მოცემული, ბოლო დროს დამტკიცებულ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმებში წლის განმავლობაში აქტივობების რაოდენობა 16-დან 160-მდე მერყეობს, ხოლო საშუალო მაჩვენებელი კი 80 აქტივობაა წლის განმავლობაში. ამისგან განსხვავებით, საქართველოს ბოლო ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა სულ მცირე წელიწადში⁹ 250 აქტივობას მოიცავს, რაც საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს სამჯერ აღემატება.

ბოლო პერიოდში დამტკიცებული ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმების შედარება ¹⁰				
ქვეყანა	ხანგრძლივობა წლებში	ლოგიკური ჩარჩოს გვერდების რაოდენობა	სულ აქტივობები	აქტივობები წლის განმავლობაში
თურქმენეთი	5	22	82	16
სომხეთი	3	40	119	30
მოლდოვა	4	80	282	70
ტანზანია	5	87	375	75
შრი-ლანკა	6	83	531	89
მალავი	5	62	445	89
ავსტრალია	3 ¹¹	78	356	119
ნეპალი	5	99	798	160
საქართველო, I გეგმა	2	88	376	188
საქართველო, II გეგმა	2	127	500	250

⁹ ფაქტობრივი მაჩვენებელი უფრო მაღალია, რადგან 2016-2017 წლების საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ბევრი საქმიანობა ერთ აქტივობადაა წარმოდგენილი მაშინ, როცა მის უკან მრავალი აქტივობა მოიაზრება.

¹⁰ თურქმენეთი, 2016-2020; ავსტრალია, 2012; სომხეთი, 2014-2016; მოლდოვა, 2011-2014; ტანზანია, 2013-2017; შრი-ლანკა, 2011-2016; მალავი, 2016-2020 (დამტკიცების პროცესშია); ნეპალი, 2014-2019; და საქართველო, 2016-2017.

¹¹ ავსტრალიის გეგმაში არ არის დასრულების თარიღი დაკონკრეტებული, თუმცა, განხორციელების შესახებ ანგარიშგება გათვალისწინებული იყო გეგმის ამოქმედებიდან სამი წლის შემდეგ.

ცხრილი 2.

22. ამ ყოვლისმომცველმა მიდგომამ გამოწვევები გააჩინა გეგმის განხორციელების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასთან მიმართებაში. შედეგად მიღებულმა დეტალური ინფორმაციის მოზღვავებამ ხელი შეუშალა გეგმის შედეგების შეფასებისადმი უფრო ანალიტიკურ მიდგომას. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ მომავალ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ყურადღება უფრო გულდასმით იყოს გამახვილებული პრიორიტეტული მიზნებისა და ამოცანების მჭიდროდ დაკავშირებული ინდიკატორებისა და აქტივების გამოყენებით შესრულებაზე. შედეგად მიღებული გეგმა უფრო მოკლე და ამავდროულად, უფრო ფოკუსირებული და სტრატეგიული უნდა იყოს, ვიდრე ეს რამდენიმე წამყვანი უწყების ამჟამინდელი მიდგომითაა გათვალისწინებული.

ii. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სტრუქტურა

23. მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სტრუქტურა გულდასმით უნდა იქნას შემუშავებული, რაც საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის სტრუქტურა მოიცავს 25 თავს, რომელთაგანაც ზოგიერთი შედგენილია უფლებების მიხედვით (მაგ. სამართლიანი სასამართლოს უფლება), ზოგიერთი კი წარმოდგენილია, როგორც საკითხები (მაგ., ბიზნესი და ადამიანის უფლებები), დანარჩენები კი ყურადღებას წამყვან ინსტიტუტებზე (მაგ. პროკურატურა) ამახვილებს. გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებებთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც ჩვეულებისამებრ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების მთავარი ფოკუსია, გაფანტულია სხვადასხვა თავში. გეგმაში მოცემული 25.1.1. საქმიანობის მიხედვით, მომავალ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმას სამი თავი დაემატება, რომლებიც მოიცავს საკუთრების უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის უფლებასა და განათლების უფლებას. თუ ამგვარი მიდგომა შენარჩუნდება, საბოლოო ჯამში მიღებული ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში შედგენილი იქნება სულ მცირე 28 თავისგან.

24. ადამიანის უფლებების ისეთი დეტალური სამოქმედო გეგმა, როგორც ეს საქართველოს აქვს, აუცილებლად მოიცავს ადამიანის უფლებათა და ამ თემებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს, რომელთა რიცხვი შესაძლოა ათეულობით იყოს. შედეგად, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების უმეტესობა სხვა ქვეყნებში შემდეგი მიდგომის გამოყენებით განხორციელდა: ა) თავების უფლებების მიხედვით წარმოდგენა და ბ) შესაძლებლობის შემთხვევაში, ამ უფლებების უფრო ფართო სათაურის ქვეშ დაჯგუფება (მაგ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები). რასაკვირველია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ შესრულების შესახებ ანგარიშიც იგივე პრინციპით იქნება ორგანიზებული, რაც შედეგად უფრო გამართულ და კარგ სტრუქტურას შექმნის. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის თავები უფლებების მიხედვით გაიწეროს, რომლებიც დაჯგუფებული იქნება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული უფლებების თავების სახით.

25. ასევე რეკომენდებულია, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად შესავალს მოიცავდეს. შესავალში წარმოდგენილი იქნება

მოკლე მიმოხილვა, სადაც მითითება გაკეთდება ადამიანის უფლებების დაცვის სტრატეგიასა და წინა სამოქმედო გეგმებზე; გეგმის შედგენის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესსა და იმ სტრუქტურების მიმოხილვაზე, რომლებიც მხარს უჭერს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმას, მათ შორისაა ადამიანის უფლებათა საბჭო და მისი თემატური სამუშაო ჯგუფები/კომისიები და ადამიანის უფლებათა სამდივნო. ადამიანის უფლებათა სამდივნომ უკვე შეიმუშავა საინფორმაციო ფურცელი, რომელიც საჭირო ინფორმაციას მოიცავს ამ საკითხების უმრავლესობაზე. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესავალი ის „შაბლონური ტექსტი“ იქნება, რომელიც პეროოდულად განახლდება და გამოყენებული იქნება მომდევნო სამოქმედო გეგმებში.

26. რეკომენდებული მიდგომა, რომელიც მე-3 ცხრილშია წარმოდგენილი:

- შეამცირებს თავების რაოდენობას დაგეგმილი 28-დან შვიდამდე; ამ თავებიდან ექვსი დაჯგუფდება ქვე-თავებად, სადაც მოცემული იქნება ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული უფლებები;
- წარმოადგენს ახალ (საბოლოო) თავს, სადაც მოცემული იქნება:
 - o ბიზნესი და ადამიანის უფლებები;
 - o საერთაშორისო ვალდებულებები და ანგარიშგების წარდგენა;
 - o სახალხო დამცველის მხარდაჭერა და მის რეკომენდაციებზე რეაგირება; და
 - o ადამიანის უფლებათა საბჭოსა და სხვა ეროვნული სტრუქტურების მხარდაჭერა, რომლებიც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებაში არიან ჩართულნი.

27. შემოთავაზებული ახალი სტრუქტურით ასევე შემოღებული იქნება ახალი ქვე-სათაური ადამიანის უფლებებსა და სამართალდამცავ ორგანოებზე, რაც გააერთიანებს და წარმოადგენს პოლიციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რაც ამჟამად სხვადასხვა თავებშია გაბნეული.

**ადამიანის უფლებების ახალი სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემოთავაზებული სტრუქტურა
(განმარტებები მოცემულია დახრილი შრიფტით)**

შესავალი (აქამდ მოცემული არ არის; ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოკლე მიმოხილვა, პროცესი და დამხმარე სტრუქტურები, როგორებიცაა ადამიანის უფლებების საბჭო, მისი სამუშაო ჯგუფები/კომისიები და სამდივნო).

1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები:
 - a. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა (ამჟამად სისხლის სამართლის მართლმსაჯულება);
 - b. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა (ჩართული უნდა იყოს სისხლის სამართლებრივი დევნა);
 - c. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი ორგანოები (ამჟამად პოლიციაზე მითითებები შეზღუდულია და უმეტესად მოცემულია "წამების" ფარგლებში);
 - d. დაკავებული პირების უფლებები;
 - e. წამების და სხვაგვარი დარღვევების აღმოფხვრა (აქცენტი უნდა გაკეთდეს წამების წინააღმდეგ IAC საბჭოზე და მის სამოქმედო გეგმაზე);
 - f. კონფიდენციალობის უფლება;
 - g. გამოხატვის თავისუფლება;
 - h. გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება (ამჟამად შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება).
2. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები:
 - a. განათლების უფლება (ამჟამად ჩვეულებრივ არ განიხილება ცალკე ნაწილში);
 - b. ჯანმრთელობის უფლება (ამჟამად ჩვეულებრივ არ განიხილება ცალკე ნაწილში);
 - c. შრომის უფლებები;
 - d. საკუთრების და მიწასთან დაკავშირებული უფლებები (ამჟამად ეროვნულ სტრატეგიაშია, მაგრამ მოცემული არ არის მიმდინარე გეგმებში).
3. ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა (ამჟამად გენდერული თანასწორობა და ქალებისთვის უფლებების გადაცემა; ეს შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, ქვეთავს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის უფლებების შესახებ, საკუთრების უფლებებს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილობას, ა.შ.):
 - a. გენდერული თანასწორობა და ქალებისთვის უფლებების გადაცემა;
 - b. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა;
 - c. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.
4. ბავშვთა უფლებები (ეს შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, ქვეთავებს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების, ბავშვთა მიმართ ძალადობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, ბავშვთა ტრეფიკინგის შესახებ, ა.შ.).
5. უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებები:
 - a. ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების დაცვა (ამჟამად ორი თავი: ეთნიკურ/რელიგიური უმცირესობების დაცვა და რელიგიური უმცირესობების დაცვა);
 - b. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები;
 - c. ტრეფინგის წინააღმდეგ ბრძოლა (ეს ქვეთავი შეიძლება შეიცვალოს ქალთა უფლებების და ბავშვთა უფლებების თავებში მოცემული ქვეთავებით).

6. იძულებით გადაადგილებული პირების, მიგრანტების და ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს მცხოვრები პირების უფლებები:
 - a. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები;
 - b. მიგრანტების და ლტოლვილების უფლებები (*ამჟამად მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლების და თავშესაფრის მქონე პირის სტატუსის მფლობელების უფლებები*);
 - c. ეკომიგრანტების უფლებები;
 - d. რეპატრიანტების უფლებები;
 - e. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ან საზღვრის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებები.
7. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები:
 - a. ბიზნესი და ადამიანის უფლებები;
 - b. ადამიანის უფლებების, მმართველი ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერება (*ამჟამად არ არსებობს, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ტრენინგის შესახებ ბოლო თავის გარდა; შესაძლოა შეიცავდეს ადამიანის უფლებების დაცვის ადგილობრივ ინსტიტუტებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გამოძიების/საჩივრების მექანიზმებს; ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე მომავალ სამუშაოს, მინიშნებებს ადამიანის უფლებების საბჭოსთვის, მისი კომისიებისა და ადამიანის უფლებების სამდივნოსთვის*);
 - c. ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების მხარდაჭერა (*ამჟამად არ არსებობს; ხელშეკრულებების/ოქმების რატიფიკაცია და ანგარიშგება; ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოების ანგარიშების მომზადება წარდგენისთვის*).

28. შემოთავაზებული სტრუქტურის, ან მისი შეცვლილი ვერსიის მიღება ცვლილებებს შეიტანს ადამიანის უფლებათა საბჭოს ქვეშ დაარსებული რამდენიმე თემატური სამუშაო ჯგუფისა და/ან კომისიის მუშაობაში, ასევე მათი მანდატის ფოკუსში. შედეგი შესაძლოა იყოს უფრო ოპტიმიზირებული მიდგომა ადამიანის უფლებათა სამდივნოს მუშაობაში, რაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებას, მონიტორინგს, ანგარიშგებასა და შეფასებაში მხარდაჭერას გულისხმობს.

iii. გეგმის შედგენა და პრობლემის ანალიზი

29. ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის შედგენის პირველი ეტაპი, რასაკვირველია, პრობლემის ანალიზით¹² იწყება, რა დროსაც განისაზღვრება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც უნდა მოგვარდეს (გეგმის მიზნები) და ის ძირითადი ფაქტორები (გეგმის ამოცანები), რაც ძირითადი პრობლემის შექმნაში მონაწილეობს. საქმიანობები, რომლებიც გეგმის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, მიმართულია ამოცანების მისაღწევად და როცა ამოცანები მიღწეულია, უნდა მოხდეს უკვე მიზნის მიღწევაც.

30. სწორი პრობლემის ანალიზის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შედგენის მნიშვნელობა არ უნდა იქნას გაზვიადებული. 2015-2016 წლების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა მოიცავს 53 მიზანს, 199 ამოცანასა და 500 საქმიანობას. ეროვნულ სამოქმედო გეგმაში დაახლოებით ოთხი მიზნის ერთ ამოცანასთან და თითოეულ ამოცანაზე ორი ან სამი საქმიანობის თანაფარდობა იქნება. თუმცა, გეგმაში მნიშვნელოვანი განსხვავებებია. მაგ. თუ

¹² მონიტორინგისა & შეფასების შესახებ არსებულ ლიტერატურაში ეს ტერმინი შეიძლება ასევე მოხსენიებული იყოს, როგორც „სიტუაციის ანალიზი“, „ცვლილების თეორია“ ან „პრობლემის ხე“.

ერთგან ერთ მიზანზე ერთი ამოცანა და მასთან დაკავშირებული ერთი აქტივობაა გათვალისწინებული, მეორეგან ერთ მიზანზე 14 ამოცანა და 47 მასთან დაკავშირებული საქმიანობაა მოცემული. წამყვან უწყებებს შორის მიზნების, ამოცანებისა და საქმიანობების რაოდენობის თვალსაზრისით ასეთი მნიშვნელოვანი შეუსაბამობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ გეგმის შედგენასთან დაკავშირებული მითითებები გადახედილი იქნას იმგვარად, რომ გეგმის შედგენის ეტაპზე პრობლემის ანალიზისას ერთიანი გაგებისა და თანმიმდევრული მიდგომის გამოყენება მოხდეს.¹³

iv. პრიორიტეტული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების დაკავშირება

31. მას შემდეგ, რაც პრიორიტეტული მიზნის განსაზღვრა მოხდება, აუცილებელია დადგინდეს და მოგვარდეს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ამოცანის მიღწევასთან მიზეზობრივ კავშირშია. თუ კავშირი საკმარისად ძლიერი არ არის, სამოქმედო გეგმაში მიზნის მიღწევისათვის გათვალისწინებულ საქმიანობებს ამოცანების მიღწევის საქმეში პროგრესზე შესაძლოა ცოტა ან არავითარი გავლენა არ ქონდეს. ასევე, თუ ინდიკატორები მხოლოდ იმ აქტივობებზეა მიბმული და არა ამოცანებზე, მაშინ მათ ამოცანებისა და მიზნების მიღწევაში რეალური პროგრესის გაზომვის საქმეში შესაძლოა ნაკლები მნიშვნელობა ქონდეს. შედეგად, სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, ალბათ, ძირითადად კონცენტრირებული იქნება საქმიანობების დასრულებაზე და არა იმაზე, მოხდა თუ არა ამოცანის - და საბოლოო ჯამში, მიზნის - მიღწევა.

32. ადამიანის უფლებათა სამდივნო და მისი პარტნიორი უწყებები მიმდინარე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ზემოქმედების შეფასებისას ამ გამოწვევის წინაშე დგანან. საქმიანობები, რომელთა ასახვაც ანგარიშში ხდება, 500 აჭარბებს, ხოლო ინდიკატორთა უმეტესობა კი ძირითადად ამ საქმიანობების დასრულებაზეა ფოკუსირებული.

33. პოტენციურ გაურკვევლობას მნიშვნელობის თვალსაზრისით საქმიანობების შეუსაბამობაც ემატება. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მოცემული ზოგიერთი საქმიანობა წარმოადგენს უმთავრეს, მრავალეტაპიან ინიციატივას, მაგ., როგორცაა ახალი კანონის შემუშავება და მიღება, რომელიც მოიცავს სამართლებრივ შეფასებას, კონსულტაციებს სამინისტროებთან და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ პირებთან, ახალი დებულებების შედგენას, პარლამენტისთვის წარდგენას, საკანონმდებლო პროცესის წარმოებას კანონის მიღებამდე, ბეჭდვის ოფიციალურ ორგანოში ახალი კანონის გამოქვეყნებას, უფლების მფლობელებსა და მოვალეობის მქონეთა ახალი კანონისა და მისი მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმირებას. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სხვა საქმიანობებს შორის ამგვარ მნიშვნელოვან, მაგრამ ერთჯერად ჩანაწერებთან ერთად გვხვდება ყოველდღიური, ბიუროკრატიული საქმიანობები, რომლებიც პრობლემის შესაფერისი ანალიზის დროს ძირითად ფაქტორებს არ წარმოადგენენ და ისეთ დეტალურ ინფორმაციას შეიცავენ, რაც ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არ უნდა იყოს მითითებული. სრულყოფილი, ანალიტიკური ანგარიშის შედგენა რამდენიმე ასეული ამგვარი საქმიანობის შესახებ, ადამიანის უფლებათა სამდივნოსთვის ძალზე სერიოზული (თუ შეუძლებელი არა) გამოწვევაა.

34. უფრო სტრატეგიული ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა მოხდეს პროცესში მონაწილე წამყვანი უწყებების წარმომადგენელთა მიერ, რომლებიც

¹³ პრობლემური ანალიზის გამოყენების პრაქტიკული მაგალითი, რაც გეგმის შედგენიდან ანგარიშგების ეტაპის ჩათვლით პროცესს მოიცავს, წარმოდგენილია ავტორის ნაშრომის „საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედგენის, მონიტორინგის და ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპები“ (2017 წლის აგვისტო) IV დანართში.

პასუხისმგებელი იქნებიან არა მხოლოდ საქმიანობების განხორციელებაზე, არამედ ადამიანის უფლებათა სამდივნოს წინაშე ანგარიშგებაზე, რაც მიღწეული პროგრესისა და გამოწვევების მოკლე ანალიზთან ერთად უნდა მოხდეს. ადამიანის უფლებათა სამდივნოს როლი არ უნდა მდგომარეობდეს მხოლოდ ანგარიშგებისთვის საჭირო ინფორმაციას შეგროვებაში, არამედ შედგენის პროცესში მონაწილე უწყებებისთვის შესაბამისი მითითებების მიცემაში, წარმოდგენილი ინფორმაციის გულდასმით შემოწმებასა და ანგარიშების წარმომდგენი უწყებებისთვის შესაძლო ცვლილებებზე რეკომენდაციების მიცემაში. რაც უფრო სტრატეგიული და კარგად მოფიქრებულია საქმიანობები, რომლებიც ამოცანებთანაა დაკავშირებული და რაც უფრო ნაკლები იქნება მათი რაოდენობა, მით უფრო შემცირდება ანგარიშგების ტვირთი პასუხისმგებელ უწყებებზე და მონიტორინგი, ანგარიშგება და შეფასების პროცესიც აღნიშნული ანგარიშის მკითხველებისა და თავად ანგარიშგებელი უწყებებისთვის უფრო სწორი, სასარგებლო და აზრიანი იქნება.

v. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინკორპორირება

35. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ძირითადი პრინციპები¹⁴ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედგენისას უმნიშვნელოვანესია. ამ პრინციპებიდან სამი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმისთვის:

- დისკრიმინაციის აკრძალვა /თანასწორობა ყურადღებას გაამახვილებს ნებისმიერ საზოგადოებაში არსებულ მოწყვლად ჯგუფებზე;
- მონაწილეობის /გაძლიერების საკითხი მნიშვნელოვანი იქნება იმის განსასაზღვრად, თუ როგორ უნდა მოხდეს უფლებათა მფლობელების გაძლიერება და მათთვის საკუთარი უფლებების დაცვის საქმეში დახმარების აღმოჩენა; და
- ანგარიშვალდებულებასა /კანონის უზენაესობაზე ზრუნვამ უნდა განაპირობოს სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალსა და დებულებებში, ასევე ეფექტური აღსრულების მექანიზმებში ცვლილებების იდენტიფიცირება.

36. 2015-2016 წლების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დეტალური მიმოხილვა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრინციპების ჭრილში გვაჩვენებს, რომ მოწყვლად ჯგუფებზე და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე დიდი ყურადღებაა გაამახვილებული. მსგავსად ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ანგარიშვალდებულების/კანონის უზენაესობის საკითხებს, სადაც სამართლებრივი/მარეგულირებელი რეფორმა მრავალი თავის ძირითად თემას წარმოადგენს. ტრენინგები, რომელიც გეგმაში მოცემული ყველა საქმიანობის დაახლოებით 20 პროცენტს მოიცავს, შეიძლება განხილული იქნას, როგორც ანგარიშვალდებულების მოთხოვნების ნაწილი. თუმცა, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მხოლოდ რამდენიმეგანაა ნახსენები მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმები წამყვან უწყებებში, ანუ მოვალეობის მქონეებში. ყველა ორგანიზაცია, ისევე, როგორც მისი თანამშრომლები, პასუხისმგებელი არიან ნაკისრი ვალდებულებების დადგენილი წესით შესრულებაზე. პროგრესის შესაფასებლად აღსრულებისა და გასაჩივრების მექანიზმები ასევე კარგი რაოდენობრივი ინდიკატორებია (მაგ. მიღებული საჩივრების რაოდენობა, ჩატარებული გამოძიების რაოდენობა, შედეგად დამდგარი

¹⁴ ესენია: უნივერსალურობა, განუყოფელობა; უფლებებს შორის ურთიერთდამოკიდებულება; დისკრიმინაციის აკრძალვა /თანასწორობა; მონაწილეობა /ჩართვა; და ანგარიშვალდებულება /კანონის უზენაესობა.

დისციპლინური ღონისძიება და ა.შ.). ადამიანის უფლებათა სამოქმედო სამომავლო გეგმებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმების გაძლიერებასა და ამ მექანიზმებზე, როგორც ინდიკატორებზე მითითებას, რითაც მოხდება ამოცანებისა და მიზნების მიღწევაში პროგრესის შეფასება.

37. საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ყველაზე ეფექტური დაცვა თავად სამიზნე უფლებათა მფლობელების გაძლიერების შედეგად ხდება. სამწუხაროდ, ამგვარი მიდგომა არ ჩანს ამჟამინდელ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში. უფლებათა მფლობელების მონაწილეობისა და გაძლიერების გზებს შემდგომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ეს შესაძლოა მოიცავდეს, მაგ: (1) საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო კამპანიებს, სადაც მოხდება სამიზნე უფლებათა მფლობელებისთვის საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; როგორ უნდა მიმართონ მათ მთავრობას ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას დახმარებისთვის; პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის და საჩივრების განხილვის არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციას; და (2) გასაჩივრების სხვადასხვა პროცედურებისა და მექანიზმების არსებობისა და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით, მიზნად ისახავს უფლებების მფლობელთა გაძლიერებასა და მოვალეობის მქონეთა პასუხისმგებლობას.

vi. სამიზნე ჯგუფის /ზემოქმედების ინდიკატორები

38. ძირითადი პრობლემა, რის არსებობაზეც პარტნიორები ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მიუთითებენ და რაც დამახასიათებელია ეროვნული სამოქმედო გეგმების უმრავლესობისთვის საერთაშორისო დონეზე – არის ის, რომ მრავალი ინდიკატორი რეალურ ზემოქმედებას არ აფასებს. დასრულებული საქმიანობის შედეგი, ასეთი არსებობის შემთხვევაში, რომელიც უფრო დიდი პრობლემის მოგვარებას ეხებოდა, უფრო ნაგარაუდევია და არა დემონსტრირებული.

39. ამჟამინდელი ეროვნული სამოქმედო გეგმის ინსტიტუციურ განვითარებასა და წამყვანი უწყებების ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმიანობებზე ძირითადი აქცენტის გათვალისწინებით, ინდიკატორთა უმეტესობა საქმიანობებს ან „მოვალეობის მქონე“ ინსტიტუტების „შედეგებს“ ითვლის. ამისგან განსხვავებით, „უფლებათა მფლობელებზე“ რეალური ზემოქმედების სამიზნე ჯგუფის/ზემოქმედების ინდიკატორები შედარებით ცოტაა. შედეგად, ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგმა განხორციელებული საქმიანობის თვალსაზრისით შეიძლება დადებითი შედეგების დემონსტრირება მოახდინოს, მაგრამ ეს ვერ ასახავს ადგილზე არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე რეალურ ზემოქმედებას (თუ ასეთი არსებობს). შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ აცდენა ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის დროს მოპოვებულ დადებით შედეგებსა და „ადგილზე“ ადამიანის უფლებათა რეალური მდგომარეობის შესახებ შედარებით უარყოფით ანგარიშებს შორის. მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების მიზანი უნდა იყოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უფრო მკაცრად გამოყენება სამიზნე ჯგუფის/ზემოქმედების ინდიკატორების მიმართ იმისთვის, რომ უფრო ზუსტად მოხდეს რეალური ზემოქმედებისა და შედეგების ასახვა.

40. ეროვნული სამოქმედო გეგმების აქტიურმა გავრცელებამ საქართველოში ადმინისტრაცია აიძულა უფრო ეფექტური და ერთგვაროვანი მიდგომა შეემუშავებინა, რათა ეროვნული

სამოქმედო გეგმების პოლიტიკის დაგეგმვა, მონიტორინგი, ანგარიშგება და შეფასება მომხდარიყო. შედეგად, ადმინისტრაციამ¹⁵ ორი დამატებითი სახელმძღვანელო მითითება გამოსცა, რომლებიც სასარგებლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს საქართველოში ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმების შედგენისა და ანგარიშგებისთვის.

41. უპირველეს ყოვლისა, სახელმძღვანელოში ნათლად არის მითითებული, რომ ეროვნული მულტი-სექტორული სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში (როგორცაა ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა) ყურადღებას უნდა ამახვილებდეს, მოხდა თუ არა ამოცანების მიღწევა. ეს შეფასება განმტკიცებული უნდა იქნას სამიზნე ჯგუფის/ზემოქმედების ინდიკატორების მიერ, რომლებიც იმ მონაცემებს ან ინფორმაციას წარმოადგენს, რაც პრობლემის არსებობაზე მიანიშნებს. მათი გამოყენება შესაძლებელია იმის შესაფასებლად, მოხდა თუ არა ამოცანის შესრულება ან საქმიანობის განხორციელება. ეს განსხვავდება ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიდგომისაგან, სადაც ინდიკატორთა უმეტესობა საქმიანობის/შედეგების ინდიკატორებია, რომლებიც ძირითადად საქმიანობებზეა ფოკუსირებული და იმაზე, შესრულდა თუ არა ისინი. მისი დახმარებით ვერ ხდება იმის შეფასება, ქონდა თუ არა საქმიანობებს სამიზნე ჯგუფზე ზემოქმედება. ფოკუსის ეს გადანაცვლება იმას ნიშნავს, რომ მომავალი ეროვნული სამოქმედო გეგმები, მათ შორის ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, უნდა მოიცავდეს სამიზნე ჯგუფს/ზემოქმედების ინდიკატორებს, როგორც პრიორიტეტს. ზოგიერთი საქმიანობის /შედეგის ინდიკატორი კვლავაც მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ ისინი ყურადღებას არ უნდა ამახვილებდნენ მხოლოდ იმაზე, დასრულდა თუ არა საქმიანობა. ამ კითხვაზე პასუხი თითოეული საქმიანობის „სტატუსის“¹⁶ ქვეშ უნდა გაეცეს. ადმინისტრაციის ახალი მითითებები ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფოკუსს ძირითადად წამყვანი უწყებების (მოვალეობის მქონეთა) საქმიანობაზე კონცენტრირებიდან სამიზნე მოსახლეობაზე (უფლებების მქონეებზე) ზემოქმედების გათვალისწინებაზე გადასვლით გააფართოებს. შედეგად, **მომავალმა** ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმებმა თითოეული ამოცანისთვის უნდა განსაზღვროს ძირითადი სამიზნე ჯგუფის/ზემოქმედების ინდიკატორები, რაც პრობლემის ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს. ამ მიზნისთვის, რეკომენდებულია, რომ მოხდეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადამიანის უფლებათა საბჭოს საქმიანობაში ჩართვა, რათა მათ მონაწილეობის მიიღონ ახალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის წერაში. სამსახურის წარმომადგენლებს შეუძლიათ რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა არსებულ საშუალებებზე, რომლებიც სამიზნე ჯგუფად/ზემოქმედების ინდიკატორებად გამოდგება. ისინი ასევე შეძლებენ ისეთი ახალი პარამეტრების შემუშავებაში დახმარებას, რაც უფრო უკეთ იქნება ადაპტირებული ადამიანის უფლებებზე. მდგრადი განვითარების მიზნებისათვის შემუშავებული რელევანტური ინდიკატორები შესაძლოა ასევე იქნას გამოყენებული სამიზნე ჯგუფად/ზემოქმედების ინდიკატორებად.¹⁷ ფოკუსის გადანაცვლება ამოცანებსა და სამიზნე ჯგუფზე/ზემოქმედების ინდიკატორებზე წლიური ანგარიშის ხასიათს შეცვლის და ნაცვლად საქმიანობების აღწერისა იგი უფრო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების მიღწევის პროგრესის ანალიტიკური შეფასება გახდება.

¹⁵ “პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო”, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2016; და “მთავრობის პოლიტიკის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები“, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2016.

¹⁶ ანუ, მოხდა თუ არა საქმიანობის სრულად ან ნაწილობრივ განხორციელება, მიმდინარეა იგი, თუ საერთოდ არ განხორციელებულა.

¹⁷ იხ. "Final list of proposed Sustainable Development Goals indicators, UN document E/CN.3/2016/2/Rev.1, Annex IV.

vii. საქმიანობის/შედეგის ინდიკატორები

42. საქმიანობის/შედეგის ინდიკატორები სასარგებლოა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მართო იმას არ გვაჩვენებენ, დასრულდა თუ არა საქმიანობა. როგორც ეს 63-ე პარაგრაფშია განმარტებული, თითოეული საქმიანობის „სტატუსი“, რომელიც მის დასრულებას ეხება, ლოგიკური ჩარჩოს ცალკე სვეტში უნდა ჩაიწეროს. სტატისტიკური ინფორმაცია დასრულების შესახებ წარმოდგენილი იქნება იმის ანალიზში, იყო თუ არა პროგრესი ამოცანის მიღწევისას.

43. როგორც ეს წინა ნაწილში განვიხილეთ, საქმიანობის/შედეგის ინდიკატორები თითოეული ამოცანისთვის სამიზნე ჯგუფთან/ზემოქმედების ინდიკატორებთან უნდა იყოს კომბინირებული. **ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ძირითადად საქმიანობის/შედეგის ინდიკატორებს მოიცავს, მაგრამ სხვადასხვა წამყვანი უწყების მიერ გამოყენებული განსხვავებული ფორმულირებები გადახედვას საჭიროებს იმ მიზნით, რომ მივიღოთ უფრო ნათელი, თანმიმდევრული მიდგომა.**

საქმიანობის/შედეგის ინდიკატორები სამართლებრივი რეფორმის, პოლიტიკის შემუშავებისა და ადმინისტრაციული ღონისძიებებისთვის

44. სხვა ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების მსგავსად მსოფლიოში, ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა შეიცავს მრავალ საქმიანობას, რომლებიც სამართლებრივ რეფორმას, პოლიტიკის შემუშავებას და/ან ადმინისტრაციული კოდექსების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და პრაქტიკის მიმოხილვას ითვალისწინებს, რაც ადამიანის უფლებებთანაა კავშირში. თუმცა, ამჟამად ამ საქმიანობებისთვის არსებული ინდიკატორების მიმართ არ არსებობს ნათელი და თანმიმდევრული მიდგომა. ამჟამინდელ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, საქმიანობა, რომელიც სამართლებრივ რეფორმას უკავშირდება, შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს, თუ იგი “წარედგინა პარლამენტს”, თუ მოხდა საკანონმდებლო ცვლილებების „შეტანა და განხორციელება“ ან, უფრო ბუნდოვანი ფორმულირებისას, თუ იგი „ამოქმედებულია“. **უფრო ერთგვაროვანი ფორმულირება საქმიანობის რეალურად დასრულების შესახებ ანგარიშებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი პოლიტიკა, სახელმძღვანელო პრინციპები და ადმინისტრაციული ღონისძიებები დასრულებულად ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც ისინი მიღებული იქნება შესაბამისი ორგანოების მიერ.** პასუხისმგებელ უწყებებს შესაძლებლობა ექნებათ ანგარიშების სახელმძღვანელო პრინციპებში ახსნან, თუ რატომ არის საქმიანობა მხოლოდ „ნაწილობრივ დასრულებული“, იმდენად, რამდენადაც იგი შეიძლება იყოს განხილვების, კონსულტაციების ან სხვა ეტაპზე.

საქმიანობის/შედეგის ინდიკატორები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ტრენინგებისთვის

45. აქტივისტებმა გამოცდილებით იციან, რომ ზოგადად, ტრენინგები მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემისადმი ნებისმიერი კომპლექტური მიდგომისას და იგი თითქმის ყოველთვის ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების უმთავრესი კომპონენტია. ტრენინგები ხშირად საჭირო ელემენტია, (შესაძლოა საკმარისიც კი) ორგანიზაციაში დადებითი ცვლილებების მისაღწევად.

46. თუმცა, ტრენინგ აქტივობების მნიშვნელოვანი შეზღუდვა აფასებს მათ ზეგავლენას. ეს გამოწვევა აღიარებული და განხილული იყო იმ რამდენიმე ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენელთან შეხვედრების დროს, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ამჟამინდელ

ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, ან რომლებიც გეგმაში მოხსენიებულ წამყვან უწყებებთან ასოცირდებიან. ამჟამინდელ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მითითებულ ტრენინგ საქმიანობებს ჩვეულებრივ ისეთი ინდიკატორები გააჩნიათ, რომლებიც ან ჩატარებული ტრენინგების რაოდენობაზე და/ან იმ ადამიანების რაოდენობაზე აკეთებს აქცენტს, რომლებმაც ტრენინგები გაიარეს. ნებისმიერი ის ზემოქმედება, რაც ტრენინგმა შეიძლება მოახდინოს, როგორც ერთმა კომპონენტმა, რომელიც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ფართოდ არსებული პრობლემის მოგვარებას ეხება, უფრო ნავარაუდევია, ვიდრე დემონსტრირებული. ტრენინგების ეს ზემოქმედება იშვიათადაა მყისიერი და იგი შესაძლოა მხოლოდ უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოვლინდეს. ალბათ შეუძლებელია ამგვარი ინფორმაციის ადეკვატურად მიღება ისეთი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესში, რომელიც მხოლოდ 2 წლის განმავლობაში გრძელდება (მაშინაც კი, ეს მონაცემები ხელმისაწვდომი რომ იყოს).

47. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ტრენინგების რეალური ეფექტურობის შეფასება უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ტრენინგ ცენტრებისა და მათი ხარისხის კონტროლის პროცედურების ან განყოფილებების ამოცანა უნდა იყოს. ეს მათ, და არა ადამიანის უფლებათა სამდივნომ, უნდა განახორციელონ ისეთი შეფასების ღონისძიებები, როგორცაა კითხვარები, ტესტირება და უფრო ხანგრძლივი დაკვირვების კვლევები, როგორც ამას საერთაშორისო პრაქტიკა გვთავაზობს.¹⁸ ამისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით ანგარიშგება კვლავაც შეზღუდული იქნება იმ ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით, რაც ჩატარებული ტრენინგების ან ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობას ეხება, რაც საქმიანობის მასშტაბებზე მიუთითებს. ამასთანავე, იმ სამიზნე აუდიტორიის პროცენტულ მაჩვენებელზე ინფორმაცია, რომელმაც ტრენინგები გაიარა, ჩართული უნდა იყოს ლოგიკურ ჩარჩოებში, გეოგრაფიული არეალის მითითებით, თუ ეს ინფორმაცია რელევანტურია (მაგ., ჩაუტარდათ თუ არა ადგილობრივი მთავრობის ყველა რაიონის წარმომადგენლებს იმ პროგრამით გათვალისწინებული ტრენინგები ადამიანის უფლებებზე, რაც ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება). ამგვარი ინფორმაცია სასარგებლო იქნება წლიურ ანგარიშში ამოცანების მიღწევაში პროგრესის ანალიზისას.

ბ. ლოგიკური ჩარჩოები

48. საერთაშორისო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმათა უმეტესობა, რომლებიც დამტკიცებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, შედგება როგორც ტექსტის, ისე ლოგიკური ჩარჩოსგან, რაც განსხვავდება იმ მიდგომისაგან, რასაც საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში იყენებენ, რადგან იგი მხოლოდ ლოგიკური ჩარჩოსგან შედგება. თუმცა, ქართული მიდგომა გასაგებია იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი ორწლიანი გეგმა უფრო ფართო, ადამიანის უფლებათა შვიდწლიან ეროვნული სტრატეგიას ეფუძნება, რომლის ფორმატიც ტექსტური ნაწილია და იგი არ შეიცავს ლოგიკურ ჩარჩოებს. რადგან მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმებიც კვლავაც ძირითადად ლოგიკური ჩარჩოებისგან იქნება შედგენილი, რეკომენდებულია, რომ ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფორმატი და შინაარსი იმგვარად გადაიხედოს, რომ უზრუნველყოფილი იქნას კონცეფციების უფრო ნათლად ჩამოყალიბება, მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპების მეტად დაცვა, რაც შედეგად მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესს შეუწყობს ხელს. რეკომენდაციების მომდევნო

¹⁸ იხ. მაგალითად ტრენინგის შეფასების კირკ პატრიკისეული მოდელი <https://www.mindtools.com/pages/article/kirkpatrick.htm>, ნანახია 2017 წლის აპრილში.

ორ ნაწილში შემოთავაზებულია რამდენიმე კონკრეტული ცვლილება, რომლებიც ასევე მოცემულია მე-4 ცხრილში.

i. ლოგიკური ჩარჩოს ფორმატი

49. მიუხედავად ამ საკონსულტაციო სამუშაოს ფარგლებში შესწავლილი 12 ქართული სამოქმედო გეგმის ერთმანეთთან გარკვეული მსგავსებისა, ყველა დეტალში სრული ერთგვაროვნება არ არსებობს. რადგან ადმინისტრაციამ მთავრობის ლოგიკურ ჩარჩოებზე ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები¹⁹ მხოლოდ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა, უფრო მეტი ერთგვაროვნება მოგვიანებით იქნება მიღწეული. ამ ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები კონკრეტული ცვლილებების შესახებ ამ სახელმძღვანელო პრინციპებსა და საქართველოს სხვა სამოქმედო გეგმებით მიღებულ გამოცდილებას ეფუძნება.

50. ამჟამად, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ლოგიკურ ჩარჩოებში შვიდი მიმართულება, ან სვეტი არსებობს. **რეკომენდებულია, რომ ეს მიმართულებები შემდეგნაირად შეიცვალოს. შემოთავაზებული ლოგიკური ჩარჩოს ნიმუში, რომელიც *ჰიპოთეტური ინფორმაციითაა შევსებული, მე-4 ცხრილშია* მოცემული.**

1. **მიზანი** – მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ლოგიკურ ჩარჩოში იგი შესაძლოა მოხსენიებული იყოს, როგორც „პოლიტიკის შედეგი“, ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება ქართულ სამოქმედო გეგმებში და მისი ერთიანი გაგება არსებობს. ეს ტერმინი უნდა შენარჩუნდეს. მაგრამ, თუ ლოგიკური ჩარჩოები ბევრი სვეტითაა გადატვირთული, მიზანი შეიძლება ლოგიკური ჩარჩოების ზემოთ ქვესათაურში გადავიდეს. ეს შექმნის ლოგიკური ჩარჩოების მიზნების მიხედვით დაყოფის ეფექტს (იხ. მაგ., 2016-2017 წლების მიგრაციის სამოქმედო გეგმა). ამ მიმართულებით რეკომენდაცია არ გვაქვს.
2. **ამოცანა** – მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ლოგიკურ ჩარჩოში იგი შესაძლოა მოხსენიებული იყოს, როგორც „შედეგი“, ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება ქართულ სამოქმედო გეგმებში და მისი ერთიანი გაგება არსებობს. ამ ტერმინის გამოყენება და მისი პოზიცია ლოგიკურ ჩარჩოებში უნდა შენარჩუნდეს.
3. **მოქმედება** – ეს ტერმინი არ არის ფართოდ გავრცელებული ქართულ სამოქმედო გეგმებში, სადაც უფრო მეტად ტერმინ „საქმიანობას“ იყენებენ, რაც უფრო მეტადაა შესაბამისობაში მთავრობის მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიასთან. **რეკომენდებულია, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა მიყვეს დადგენილ პრაქტიკას და ლოგიკურ ჩარჩოებში „მოქმედების“ ნაცვლად ტერმინი „საქმიანობა“ გამოიყენოს.**
4. **ინდიკატორები** – მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგჯერ მოხსენიებულია, როგორც „საქმიანობის ინდიკატორები“, ტერმინი ფართოდ გამოიყენება და შესაბამისად, იგი უნდა შენარჩუნდეს. მაშინ, როცა ეს ნაწილი უფრო ხშირად „საქმიანობების“ შემდეგ გვხვდება ხოლმე, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში იგი ბოლო სვეტად გვევლინება. ადრე ინდიკატორები ძირითადად საქმიანობებსა და მათ

¹⁹ იხ. “მთავრობის პოლიტიკის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები” და “პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო”, ორივე მათგანი გამოქვეყნებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ (2016).

სტატუსზე იყოს მიბმული. თუმცა, მთავრობის ახლადმიღებული სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვს, რომ ანგარიშებში ანგარიშგებისა და ანალიზის ფოკუსმა „საქმიანობების“ განხორციელებიდან (ანუ, მათი „სტატუსიდან“) და იმის დადგენიდან, განხორციელდა თუ არა ისინი, გადაინაცვლოს იმაზე, შესრულდა თუ არა „ამოცანები“. 64-ე პარაგრაფში განმარტებული მიზეზების გამო, **“ინდიკატორი” “ამოცანის” შემდეგ და “საქმიანობის” წინ უნდა გადავიდეს იმისთვის, რომ სწორი კონცეპტუალური კავშირი დამყარდეს და ანგარიშმგებელმა უწყებებმა შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი შეძლონ.**

5. **მონაცემთა წყარო** – ზოგჯერ მოხსენიებულია, როგორც "შემოწმების საშუალებები", ეს სვეტი უნდა იყოს „ინდიკატორების“ სვეტის შემდეგ და უთითებდეს თითოეული ინდიკატორის მოსალოდნელ წყაროს. ინფორმაციის მიზანი პასუხისმგებელი უწყებების მინოტირინგის, ანგარიშგებისა და შეფასების პროცესში დახმარებაა. ეს სვეტი შეიძლება გამოჩნდეს, ან არ გამოჩნდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის საჯარო ვერსიაში, რაც დამოკიდებულია, რამდენად იარსებებს მისთვის საკმარისი ადგილი ან სურვილი, მოხდეს ამ ინფორმაციის საჯარო მიზნებისათვის ჩართვა.
6. **პასუხისმგებელი უწყება** – ზოგჯერ სხვა სამოქმედო გეგმებში მოხსენიებულია, როგორც “წამყვანი უწყება”, “პასუხისმგებელი ერთეული” ან ამ ორის კომბინაცია. **განხილული უნდა იქნას უფრო ზუსტი ფორმულირება, როგორცაა “პასუხისმგებელი უწყება”.** ამჟამინდელ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში არსებულ მიდგომაში გაუგებრობას იწვევს ის ფაქტი, რომ ყველა პარტნიორი ორგანიზაცია ამავე სვეტშია მითითებული. ამასთან დაკავშირებული პრობლემაა ის, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა „საქართველოს მთავრობას“ „პასუხისმგებელ უწყებად“ განსაზღვრავს. იმისთვის, რომ მოხდეს ფუნქციათა ნათლად განაწილება განხორციელებისა და ანგარიშგებისთვის, მკაცრად რეკომენდებულია, რომ ამ სვეტში მხოლოდ ერთი წამყვანი უწყება განისაზღვროს და თავიდან იქნას აცილებული მეტისმეტად ზოგადი მითითება „საქართველოს მთავრობაზე“. ასევე რეკომენდებულია, რომ ლოგიკურ ჩარჩოებში მოხდეს ახალი სვეტის ჩამატება, რომელის სათაურიც „პარტნიორი ორგანიზაციები“ იქნება და „პასუხისმგებელი უწყების“ შემდეგ იქნება წარმოდგენილი.
7. **განხორციელების ვადა** – ზოგჯერ მოხსენიებულია, როგორც „დასრულების ბოლო ვადა“ ან, უფრო მარტივად “ვადები” და ეხება კონკრეტულ საქმიანობას. აუცილებელია ყურადღება მიექცეს ამ ტერმინის „დასრულების ბოლო ვადით“ ჩანაცვლებას, რომელიც იმის არსს წარმოადგენს, რისი ანგარიშგებაც უნდა მოხდეს. მთავრობის მიერ მიღებული ახალი სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, ეს სვეტი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ წელს, არამედ კვარტალსაც (მაგ., 2017 წლის მესამე კვარტალი). შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ამ სვეტის სათაური შეიცვალოს და გახდეს „დასრულების ბოლო ვადა (წელი/კვარტალი)“.

ცხრილი 4: რეკომენდებული ლოგიკური ჩარჩოს ფორმატის ნიმუში ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის
(შენიშვნა 1: ყველა ჩანაწერი და მითითება ჰიპოთეტურია და მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვისაა)

მიზანი 3: დემონსტრაციების პოლიციის მიერ გაკონტროლებისას ძალის გადამეტებული გამოყენების აღმოფხვრა

კავშირები: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმა, მიზანი 5; შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქმედო გეგმა, მიზანი 15

ამოცანა	ინდიკატორები	მონაცემთა წყარო	საქმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორები	დასრულების საბოლოო ვადა	სტატუსი	საჭირო დამატებითი ფონდები	დამატებითი დაფინანსების წყაროები	კომენტარები
3.1 სათანადო მოქმედი პროცედურების უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.	განხილვის შედეგები. კოდექსები და პროცედურები შეცვლილია		3.1.1 შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრა.	შსს	- ადამიანის უფლებათა სამდივნო - გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი	2017 კვ. 1	დასრულებული	არ არის	არ არის	უნივერსალური პერიოდული გადახედვის კომიტეტის რეკომენდაცია 117.4 (2015)
			3.2.2 შიდა კოდექსების და დისციპლინური პროცედურების განხილვა და შესწორება.	შსს	არ არის	2017 კვ. 3	მიმდინარე	არ არის	არ არის	
3.2 პოლიციის ტრენინგი შესაბამისი სტანდარტების და პრაქტიკის შესახებ.	დატრენინგებულ პოლიციელთა პროცენტი.		3.2.1 ტრენინგის კურსის შინაარსის, მასალების და ტრენინგის გეგმის შემუშავება.	შსს	პოლიციის აკადემია	2017 კვ. 4	ნაწილობრივ დასრულებული	არ არის	არ არის	ადამიანის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაცია 26 (2014)
	დატრენინგებული პოლიციის განყოფილებების პროცენტი.		3.2.2 ტრენინგის კურსის ჩატარება.	შსს	პოლიციის აკადემია	2018 კვ. 3	შეჩერებული	არ არის	არ არის	
	გეოგრაფიული დაფარვა. ტრენინგის დადებითად შეფასება.		3.2.3 ტრენინგის წარმატების შეფასება ტესტირების და შემდგომი კვლევის მეშვეობით.	შსს	პოლიციის აკადემია	2018 კვ. 4	შეჩერებული	არ არის	არ არის	
3.3 პოლიციის დამცავი საშუალებებით აღჭურვა, არამალადობრივი ტაქტიკის და	აღჭურვილი პოლიციის განყოფილებების პროცენტი. მიწოდებული		3.3.1 აღჭურვილობის საჭიროების განსაზღვრა.	შსს	არ არის	2017 კვ. 1	დასრულებული	არ არის	არ არის	
			3.3.2 ყველა განყოფილებაში ინვენტარიზაციის ჩატარება.	შსს	არ არის	2017 კვ. 3	მიმდინარე	არ არის	არ არის	
			3.3.3 საჭირო აღჭურვილობის მიწოდება.	შსს	არ არის	2018 კვ. 2	შეჩერებული	450,000 ლარი (სავარაუდო)	საერთაშორისო დონორი	

არალეტალური რეაგირების უზრუნველყოფა	აღჭურვილობის ტიპი და ჩატარებული ტრენინგი.		3.3.4 აღჭურვილობის სწორად გამოყენების მიზნით ტრენინგი.	შსს	პოლიციის აკადემია	2018 კვ. 2	შეჩერებული	არ არის	არ არის	
3.4. სწრაფი გამოძიების უზრუნველყოფა და ძალის გადამეტებული გამოყენების ფაქტებზე რეაგირება.	- შესაბამისი ფაქტების რაოდენობა; - გამოძიებული ინციდენტების რაოდენობა; - გამოძიების შედეგები; - სახალხო დამცველის მიერ გაცემული შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობა.		3.4.1 პოლიციის შტაბების მიერ ინციდენტებზე რეაგირების მონიტორინგი.	შსს	სახალხო დამცველი	მიმდინარე	მიმდინარე	არ არის	არ არის	ადამიანის უფლებათა კომიტეტი ს რეკომენდაცია 27 (2014) სახალხო დამცველის რეკომენდაცია
			3.4.2 სახალხო დამცველის შესაბამისი რეკომენდაციების შესრულება	შსს	სახალხო დამცველი	მიმდინარე	მიმდინარე	არ არის	არ არის	
			3.4.3 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება.							

8. **სტატუსი** – მიუხედავად იმისა, რომ ეს სვეტი ქართულ სამოქმედო გეგმებში ჯერ-ჯერობით არ არსებობს, მთავრობის მიერ ახლად დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვს, რომ მითითებული იქნას თითოეული საქმიანობის სტატუსი, სადაც გამოჩნდება იგი „დასრულებული“, „ნაწილობრივ დასრულებული“, „მიმდინარე“, თუ „შეჩერებულია“. ნ3-ე პარაგრაფში განმარტებული მიზეზების გამო, „სტატუსი“ **ლოგიკურ ჩარჩოს ახალ სვეტად „დასრულების ბოლო ვადის“ შემდეგ უნდა დაემატოს. უნდა გადაწყდეს, თუ რა საერთო ტერმინოლოგია იქნება გამოყენებული დამატებულ სვეტში.**
9. **ბიუჯეტი** – ეს სვეტი არსებობს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, თუმცა იშვიათად გამოიყენება. მაშინ, როცა ზოგიერთი სამოქმედო გეგმა არ მოიცავს ბიუჯეტის სვეტს, სხვები ერთზე მეტ სვეტს უთმობენ მას (იხ. მაგ., 2016-2017 წლების მიგრაციის სამოქმედო გეგმა). უნდა აღინიშნოს, რომ ახლად მიღებული *მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვს ბიუჯეტზე ინფორმაციის მითითებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განსახორციელებლად დამატებითი სახსრებია საჭირო.*²⁰ ეს კონკრეტული მოთხოვნა უნდა აისახოს ლოგიკურ ჩარჩოებში. **შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ სვეტი „ბიუჯეტი“ შეიცვალოს “საჭირო დამატებითი სახსრებით“, რომლის შემდეგაც დაემატება კიდევ ერთი სვეტი „დამატებითი დაფინანსების წყაროები“.**
10. **კავშირი სხვა გეგმებთან** – მიუხედავად იმისა, რომ არც ამჟამინდელ ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის და არც სხვა მასთან დაკავშირებულ გეგმების ლოგიკურ ჩარჩოებში არ არის ამგვარი სვეტი გათვალისწინებული, იგი იმ საშუალებად უნდა იქნას განხილული, რომელიც ანგარიშმგებელ უწყებებს, ასევე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის უფრო ფართო აუდიტორიას აცნობებს, რომ მსგავსი (და შეიძლება ითქვას იგივე) მიზნები, ამოცანები და საქმიანობები ხორციელდება სადაც, რაც უფრო დეტალურ მულტი-სექტორულ გეგმებში (როგორცაა წამების წინააღმდეგ, ტრეფიკინგის შესახებ და ა.შ.), ან სამინისტროს/უწყების სამოქმედო გეგმებშია გათვალისწინებული. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი უწყების თანამშრომლებისთვის ამან შესაძლოა გააადვილოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ ანგარიშგება, რადგან ინფორმაცია მითითებული იქნება სხვა სამოქმედო გეგმებშიც. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმით დაინტერესებული პირებისთვის ამან შეიძლება შეასრულოს დამატებითი ინფორმაციის წყაროზე, ასევე სხვა მსგავსი საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე მითითების როლი. თუმცა, საჭირო არ იქნება გეგმაში მოცემული თითოეული საქმიანობისთვის კავშირის მითითება. შესაბამისად, სვეტის შესაფერისი ადგილი ლოგიკურ ჩარჩოებში გულდასმით უნდა იქნას შერჩეული. **რეკომენდებულია, რომ სვეტი „კავშირის“ შესახებ განხილული იქნას ლოგიკურ ჩარჩოში მისი ჩართვის მიზნით.**

²⁰ “პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო“, ციტირებულ ნაშრომში, გვ. 11.

11. რისკები – მთავრობის ახალი სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სვეტი, სადაც მითითებული იქნება რისკის ანალიზი, განსაზღვრავდეს იმ ფაქტორებს, რამაც შესაძლოა შეაფერხოს მიზნებისა და ამოცანების მიღწევა. შესაფერისი დონის რისკის ანალიზი მნიშვნელოვანია იმ დონისძიებების დასაგეგმად, რომლებიც რისკებს შეამცირებს. ეს სვეტი შესაძლოა სასარგებლო იყოს მოგვიანებით პრობლემებისა და წარუმატებლობების ანგარიშგების ფაზაში შესაფასებლად. იგი მხოლოდ შიდა მოხმარებისთვისაა და არ უნდა იქნას მითითებული ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის საჯარო ვერსიებში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მისი მითითება სასარგებლოდ არ არის მიჩნეული. აუცილებელია „რისკების“ სვეტის ჩამატება ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შიდა მოხმარების (არასაჯარო) ვერსიაში.

12. კომენტარები – მრავალი სხვა სამოქმედო გეგმის მსგავსად, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ლოგიკური ჩარჩოები არ მოიცავს „კომენტარების“ სვეტს. თუმცა, სამდივნომ უნდა გაითვალისწინოს „კომენტარების“ სვეტის ჩამატება ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში (მაგრამ, არა საჯარო ვარიანტში), თუ ეს სამდივნოს მიერ მონიტორინგსა და ანგარიშგებას გაადვილებს. „კომენტარების“ სექციაში მოცემული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს, მაგ. ხელშეკრულების მონიტორინგის ან სხვა ავტორიტეტული ორგანოების რეკომენდაციებზე მითითებას, რაც შეესაბამება ამოცანას ან საქმიანობას. ეს სვეტი შეიძლება მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის დაემატოს და არ გამოჩნდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის საჯარო ვერსიაში, იმ შემთხვევების გარდა, თუ ამის გაკეთება სასარგებლოდ არის მიჩნეული.

ii. ლოგიკური ჩარჩოს შინაარსი

51. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამჟამინდელ და წინა ვერსიებში შინაარსობრივ ნაწილში ბევრი რამაა გამოსასწორებელი. ზოგიერთი სექცია უფრო პრობლემურია, ვიდრე სხვები, რაც, ალბათ, წამყვანი უწყებების მიერ წარმოდგენილ ვარიანტებში ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების განსხვავებებით აიხსნება. პრობლემათა უმეტესობა მოგვარდება, თუ უფრო მკაცრად იქნება დაცული სახელმძღვანელო პრინციპები და ადამიანის უფლებათა სამდივნო უფრო აქტიურად შეიტანს ცვლილებებს წარმოდგენილ მასალაში. ზოგადად, გეგმის წერის ეტაპზე თანმიმდევრულობის უკეთ უზრუნველყოფა, კონცეპტუალური სიცხადე და დისციპლინა ხელს შეუწყობს ეფექტურ მონიტორინგს, შეამცირებს უწყებებზე დაკისრებულ ანგარიშგების ტვირთს და დაინტერესებულ პირებს მიღწეული პროგრესის შეფასებაში დაეხმარება, რაც წლიური ანგარიშში იქნება გამოყენებული. მომავალ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში შემდეგი პრობლემები უნდა მოგვარდეს:

ა. ზოგიერთმა წამყვანმა უწყებამ წარმოადგინა დიდი ოდებობით „გაუფილტრავი“ მასალა, რომლებიც ზედმეტად დეტალური იყო და არ მოიცავდა პრიორიტეტულ საკითხებს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, 37-დან ხუთი წამყვანი უწყების მიერ მოწოდებული მასალა, რომლებიც მიმდინარე გეგმაშია მითითებული, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მითითებული საქმიანობების ნახევარზე

მეტს მოიცავს²¹. შედეგად, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ნაწილი კორპორაციულ ბიზნეს-გეგმას გვაგონებს, სადაც ყოველი მოქმედება, რაც უწყების შესაძლებლობების გაძლიერებას ეხება, ადამიანის უფლებათა დაცვაზე მიმართულ საქმიანობადაა მიჩნეული. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ვერ შეცვლის სამინისტროს დეტალურ სამოქმედო გეგმას, მაგრამ იგი უნდა მოიცავდეს იმ პრიორიტეტულ ელემენტებს, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენს უფლებათა მფლობელების უფლებებზე და რომლებსაც წვილი შეაქვს უფრო დიდი პრიორიტეტული ამოცანის შესრულებაში. შესაბამისად, წამყვანი უწყებების მიერ წარმოდგენილი მასალა უნდა მოიცავდეს პრიორიტეტული ამოცანების უფრო გონივრულ რაოდენობას, წარმოდგენილს მათთან უფრო ნათლად დაკავშირებული მხარდამჭერი საქმიანობებით.

ბ. ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ზოგიერთ ნაწილში, მთლიანი პარაგრაფებია ჩასმული ლოგიკური ჩარჩოს იმ სათაურების ქვეშ, სადაც მხოლოდ მოკლე წინადადებები უნდა ჩაიწეროს. ეს ჩანაწერები ბევრ უსარგებლო დეტალს მოიცავს და ცალკეულ მათგანში შეიძლება მრავალრიცხოვანი ამოცანა, ან საქმიანობა იყოს მითითებული. შედეგად მიღებული სიცხადის ნაკლებობა აკნინებს მთელ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმას. მომავალ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმებში უნდა მოხდეს ერთგვაროვანი მიდგომის შემუშავება, რათა ლოგიკური ჩარჩოების შევსებისას თავიდან ავიცილოთ გრძელი, ზედმეტად დეტალური და მრავალრიცხოვანი ჩანაწერები. ანგარიშზე გეგმამ უწყებებმა უნდა აღიარონ და პატივი სცენ ადამიანის უფლებათა სამდივნოს როლს, რომელსაც უწყებათა მიერ წარმოდგენილი მასალების რედაქტირება უწევს იმისთვის, რომ სამოქმედო გეგმაში მიღწეული იქნას თანმიმდევრული მიდგომა, ერთგვაროვანი ფორმატი და ფორმულირება.

გ. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სხვა საკითხები

ი. ქალთა უფლებები

52. 2016 – 2017 წლების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა მოიცავდა ორ ახალ „თავს“: ერთი ეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას, ხოლო მეორე კი ეროვნულ სამოქმედო გეგმას საქართველოს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელების შესახებ. თუმცა, ორივე „თავი“ მხოლოდ ერთი წინადადებისგან შედგება, რომელიც მთავრობის შესაბამის დადგენილებაზე აკეთებს მითითებას და მკითხველს სთავაზობს, გაეცნოს მათ (თუმცა, დამატებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად შეიძლება იქნას მოძიებული ეს ორი სამოქმედო გეგმა, არ არის მოცემული).

53. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის თავი „გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებაზე“ მსოფლიოში მიღებული ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის „ქალთა უფლებების“ თავთან შედარებით საკმაოდ გაფანტულია. ერთობლიობაში გაანალიზებისას, სადაც მითითება მხოლოდ ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების

²¹ იხ. დანართი I (ა), “წამყვანი განმახორციელებელი უწყებები საქმიანობების მიხედვით”.

განხორციელებაზე არსებულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებზეა მითითება, შესაძლოა ისე იქნას აღქმული, რომ ქალთა უფლებები საქართველოში პრიორიტეტი არ არის. რასაკვირველია, საქმე ამგვარად არ არის. ზოგადად, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის „ქალთა უფლებების“ ნაწილი უნდა გადაიხედოს უფრო მეტი შინაარსობრივი ნაწილის შესამუშავებლად, რათა მეტად ადეკვატურად მოხდეს იმ ფართომასშტაბიანი ინიციატივების ასახვა, რაც მთავრობის მიერ ამ სფეროში ხორციელდება. შესაძლოა განხილული იქნას იმ ინიციატივების შეჯამება, რომლებიც ამ ორი ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ხორციელდება (შესაბამის გეგმებსა და მათ ანგარიშებზე ბმულების მითითებით) ან მოხდეს პრიორიტეტული ამოცანების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ლოგიკურ ჩარჩოებში ჩასმა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ბევრი სხვა თავი ყურადღებას ამახვილებს სხვა ეროვნული სამოქმედო გეგმების მიერ დაფარულ სფეროებზე (მაგ. როგორცაა წამება, მიგრაცია, იძულებით გადაადგილებული პირები და ა.შ.), მაგრამ მაინც ხერხდება შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილის მნიშვნელოვანი მოცულობის მითითება.

ii. სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა

54. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ყველაზე მთავარი დამცველი ინსტიტუტი საქართველოში - სახალხო დამცველის ოფისი, არ წარმოადგენს არც ერთი სტრატეგიის ან მისი სამოქმედო გეგმების მიზანს, რაც ამ ოფისის გაძლიერებაზე ან მხარდაჭერაზე იქნებოდა მიმართული. ფაქტიურად, მიმდინარე გეგმა თითქოს კიდევ უფრო ტვირთავს სახალხო დამცველის ოფისს, თხოვს რა მას წამყვანი უწყებების მიერ ნაკისრი დაახლოებით 30 ვალდებულების მონიტორინგს, საჯარო მოხელეების ტრენინგსა და ისეთი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებასა და „ინიცირებას“, რომლებიც დისკრიმინაციის აკრძალვას ეხება. რეკომენდებულია მოხდეს ისეთი ვალდებულებების დამატება, რაც საჭიროებისამებრ გაზრდის სახალხო დამცველი ოფისის მხარდაჭერას და ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე რეაგირებას (იხ. სათაური 7 (ბ), ცხრილი 3, გვ. 25). ამ მიზნით, მითითება უნდა გაკეთდეს რეკომენდაციების რაოდენობის ზრდაზე, რომლებიც ეფექტურად ხორციელდება იმ ინდიკატორთან მიმართებაში, რომელიც განხორციელების მიმდინარე მაჩვენებლების მიხედვით ათვლის წერტილად იყო მიჩნეული.

iii. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაზრდა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში

55. ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმები ყოველთვის განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ცენტრალური მთავრობის ინსტიტუტებსა და მის ფუნქციებზე. ერთი გამოწვევა, რომელსაც ჩვეულებისამებრ აწყდებიან ხოლმე მთავრობები, რომლებსაც მიღებული აქვთ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმები, არის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა ეფექტურად ჩართვა და მობილიზება გეგმის განხორციელებაში, განსაკუთრებით იმ ნაწილებთან მიმართებაში, რომლებიც ადგილობრივ კომპონენტს მოიცავს. პრობლემა კიდევ უფრო ღრმად იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან შესაძლოა მოელოდნენ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას განათლების, ჯანდაცვისა და ადამიანის

უფლებებთან დაკავშირებული სხვა საკითხების ფართო სპექტრის განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგებისას. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის კავშირი ადგილობრივ დონეზე ეფექტურ განხორციელებასთან უმნიშვნელოვანესია და აუცილებელია ზომების გატარება იმისთვის, რომ მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ჩართვა და გეგმაში მათი ხედვის გათვალისწინება. ამ მიზნის მისაღწევად სხვა ქვეყნებში სხვადასხვა საშუალებებს მიმართეს.

56. ერთი გზა, რომ მოხდეს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა როლის გაძლიერება, არის მათი გეგმის შემუშავების პროცესში ჩართვა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლობის უზრუნველყოფით თავად გეგმის შემუშავების პროცესში და/ან რეგიონული კონსულტაციების გამართვით ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიღებამდე, მისი პროექტის განხილვის დროს. კიდევ ერთი შესაძლებლობაა ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და კოორდინაციის ადგილობრივი კომიტეტების შექმნა რეგიონისა და მუნიციპალიტეტის დონეზე, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გენდერზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე და სოციალურ მომსახურებებზე, ასევე ის მოხელეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე. საქართველოში წევრობა შეიძლება ასევე გავრცელდეს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების წარმომადგენლებზე, ადვოკატთა ასოციაციის ადგილობრივი ოფისის ხელმძღვანელებზე, მედიისა და წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებზე. ნეპალში იმპლემენტაციისა და საკოორდინაციო კომიტეტს რაიონის დონეზე საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უძღვება და მისი ფუნქციები მოიცავს: რაიონის დონეზე არსებულ სახელმწიფო უწყებებში [ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე] საკონტაქტო პირებისათვის მიმართულების მიცემას; სამოქმედო გეგმის განხორციელების დროს სხვადასხვა პროგრამებს შორის კოორდინაციის შენარჩუნებას და რაიონში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ ცენტრისთვის ანგარიშების მიწოდებას.²²

57. მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების შემუშავებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხედვისა და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის ასახვისათვის ძალისხმევა იქნება საჭირო. რეკომენდებულია ადგილობრივი კომიტეტების შექმნა და საკონტაქტო პირების დანიშვნა, რომლებიც გეგმის განხორციელებაზე, მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე იქნებიან პასუხისმგებელი. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ადგილობრივ დონეზე ეფექტური იმპლემენტაციისთვის არსებითი იქნება საბაზისო ტრენინგების ჩატარება ადამიანის უფლებების, მათ შორის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ და იგი გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული. რეკომენდებულია, რომ ეს და სხვა მსგავსი ინიციატივები შეიძლება გათვალისწინებული იქნას ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემოთავაზებულ თავში „ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული

²² იხ. ნეპალის „ადამიანის უფლებათა მეოთხე სამოქმედო გეგმის“ ნაწილი 4.1.7.2 (ფისკალური წელი 2014/2015 – 2018/2019“, რომელიც ნაშრომის ავტორის მიერაა მოწოდებული.

სხვა საკითხები“ „ადამიანის უფლებების, მმართველი ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერების“ ქვეშ (იხ. ცხრილი 3).

iv. სხვა სამოქმედო გეგმების გადაფარვა

58. ის საკითხი, თუ როგორ მოხდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სხვა გეგმებთან (მათ შორის უწყებათა სამოქმედო და მულტი-სექტორული გეგმები) შეჯერება და მათთან გადაფარვის თავიდან აცილება, ფართოდ იქნა განხილული უწყების თანამშრომლებთან ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაზე ა.წ. 12-14 და 18-20 ივლისს სტეფანწმინდაში გამართული ტრენინგების დროს. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დუბლირება გარდაუვალი იქნება. თუმცა, აუცილებელი იქნება დოკუმენტის გადახედვა იმისათვის, რათა მოხდეს ენისა და ფოკუსის ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოთხოვნებზე მორგება. მოხდა ზოგადი შეთანხმება იმაზე, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა უპირველესი წყარო უნდა იყოს ადამიანის უფლებათა პრიორიტეტული პრობლემების განსაზღვრისათვის, რაც საერთაშორისო ვალდებულებებს უნდა ეფუძნებოდეს. ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა განხორციელდეს „ზემოდან ქვემოთ“ და არა „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომით, რაც უბრალოდ იმის გამეორებას ნიშნავს, რაც უწყების სამოქმედო გეგმებშია მოცემული. ამ მიმართებაში, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს - საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით - და შემდეგ, რა კეთდება უკვე. მიჩნეული იქნა, რომ მეტი „რუტინული“ მხარდაჭერის აქტივობები უფრო დეტალურად უწყების სამოქმედო გეგმებში და არა ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში უნდა იქნას განხილული.

59. რაც შეეხება სხვა დაკავშირებულ მულტი-სექტორულ გეგმებს, მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა საერთო ქოლგის ქვეშ უნდა აერთიანებდეს სხვა გეგმებსა და კონკრეტულ თემებს. როცა ეს შესაძლებელია, აუცილებელია, რომ დაკავშირებული თემატური გეგმები ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში გაერთიანდეს, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის საჯარო პროფილის დამატებული უპირატესობის, მისი მაღალი დონის მონიტორინგის მექანიზმებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მისი განხილვა პარლამენტის მიერ ყოველწლიურად ხდება. საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმამ ცალკეული თემატური გეგმების საჭიროება და მრავალრიცხოვანი გეგმების შესრულებაზე ანგარიშგების ტვირთი უნდა შეამციროს. ამასთანავე, აუცილებელი იქნება, რომ იმ თანამშრომლებმა, რომლებიც ანგარიშგებაზე არიან პასუხისმგებლები, მითითება გააკეთონ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის იმ ჩანაწერებზე, რომლებიც დაკავშირებულია სხვა სამოქმედო გეგმებთან ან მეორდება იქ. ამ მიმართებაში, უწყებებმა უნდა განიხილონ სპეციალური ერთეული შექმნა, რომლის მოვალეობაც პოლიტიკის დაგეგმვა და მრავალრიცხოვანი გეგმების მიხედვით ანგარიშგება იქნება, როგორც ეს უკვე გააკეთა ზოგიერთმა უწყებამ.

60. აღინიშნა, რომ სამოქმედო გეგმებში გადაფარვის საკითხი იქნებოდა SIGMA-ს²³ დიდი საერთაშორისო კვლევის ფოკუსი, რომლის დაწყებაც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი. კვლევა ერთ-ერთი ბოლო ეტაპი იქნება იმ ძალისხმევისა, რომელიც პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესებას ეხება საქართველოში. მოსალოდნელია, რომ კვლევაში გაკეთდება რეკომენდაციები რიგი საკითხების შესახებ, მათ შორის უწყებათაშორისი რამდენიმე გეგმის გაერთიანებაზე. ადამიანის უფლებათა სამდივნომ პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს SIGMA-ს ექსპერტებთან მუშაობას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მნიშვნელობისა და მასშტაბის შენარჩუნება და გაძლიერება. სამდივნომ ასევე უნდა შეისწავლოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმების სამდივნოების, ასევე უწყების ანგარიშგების/დაგეგმარების განყოფილებების გამოცდილება იმისთვის, რათა ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედგენის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის ზემოქმედება და ეფექტიანობა გაუმჯობესდეს.

²³ "მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობა", ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტი. იხ. <http://www.sigmaweb.org/>.

IV. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშების გაუმჯობესება

ა. ანგარიშები

61. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ ძირითადი ანგარიში წლიური ანგარიშია, რომელიც წლის დასაწყისში დგება და წარმოადგენს გასული წლის განმავლობაში გეგმის განხორციელებაში მიღწეულ პროგრესს. იგი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ეფექტურობის შეფასების ძირითადი ინსტრუმენტია. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა სამდივნოს ევალუა წლის განმავლობაში პროგრესის შესახებ ერთი ან მეტი ანგარიშის ადამიანის უფლებათა საბჭოსა და მისი თემატური სამუშაო ჯგუფების/კომისიებისთვის წარდგენა. თუ ეს თემატური სამუშაო ჯგუფები/კომისიები ყოველკვარტალურად იკრიბებიან, მაშინ უნდა დაიწეროს სამი კვარტალური ანგარიში, რომელიც ძირითადად შიდა მოხმარებისთვის იქნება განკუთვნილი. თუ თემატური სამუშაო ჯგუფები/კომისიები მხოლოდ ექვს თვეში ერთხელ იკრიბებიან, მაშინ ადამიანის უფლებათა სამდივნომ წლიურ ანგარიშთან ერთად მხოლოდ ექვსთვიანი პროგრესის შესახებ ანგარიში უნდა შეადგინოს. წლიური ანგარიში პირველ რიგში განიხილება, რადგან იგი ყველაზე მნიშვნელოვანი საჯარო ანგარიში იქნება, რომელსაც პარლამენტი განიხილავს. წლიური ანგარიშის სტრუქტურა და მიდგომა განსაზღვრავს იმ პერიოდული ანგარიშების სტრუქტურასა და მიდგომას, რომლებიც წლის განმავლობაში დგება.

ი. წლიური ანგარიშის მიზანი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე

62. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რეკომენდებულია, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში:

ა. წარმოადგენდეს ადამიანის უფლებათა სფეროში მთავრობის მთავარი ინიციატივების შესახებ აღწერილობით და ანალიტიკურ მიმოხილვას, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანოებისა და ექსპერტების რეკომენდაციებზე რეაგირების ღონისძიებებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მიერ დაყენებულ პრობლემებზე რეაგირებას;

ბ. შეიცავდეს განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევების აღიარებას, რაც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დემონსტრირებაა;

გ. უზრუნველყოფდეს ბმულს სხვა, უფრო დეტალურ ინფორმაციაზე, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია მთავრობის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ (განსაკუთრებით, სექტორული ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და მათი ანგარიშების საშუალებით);

დ. განსაზღვრავდეს და წარმოადგენდეს ანგარიშს გასაჩივრების შესაბამის მექანიზმებზე, როგორც განხორციელების ინდიკატორებზე;

ე. მთავრობის (მათ შორის პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლებისთვის) და ადამიანის უფლებათა საზოგადოებისთვის ასრულებდეს პასუხისმგებელი პირის როლს კონსულტაციების, განხილვებისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის; და

ვ. ასრულებდეს იმ ინსტრუმენტის როლს, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებზე ცენტრალური და რეგიონული მთავრობის ყველა დონის საჯარო მოხელეებში, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ზოგადად, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.

63. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ წლიური ანგარიში ვერასოდეს ჩაითვლება ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მთავრობის ინიციატივების დამოუკიდებელ შეფასებად, (რაც უფრო სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების როლს წარმოადგენს), იგი მაინც უნდა მოიცავდეს მიღწეული პროგრესის გარკვეულწილად კრიტიკულ შეფასებას, რაც მულტი-სექტორული სამოქმედო გეგმების შესახებ არსებული მთავრობის საკუთარი ანგარიშების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად უნდა მოხდეს, რაც უფრო დეტალურად შემდგომ ნაწილშია განხილული.

ii. წლიური ანგარიშის სტრუქტურა

64. ანგარიშების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისას პირველი ეტაპი საბოლოო ანგარიშის ტიპის, შინაარსისა და სტრუქტურის განსაზღვრაა, რაც ჩვენ შემთხვევაში წლიური ანგარიშია.

ამჟამინდელი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ პარლამენტისთვის წარსადგენი წლიური გეგმა ძირითადად გეგმის შესაბამისად განხორციელებული ინდივიდუალური საქმიანობების შესახებ დეტალური ინფორმაციის კრებულია. რადგან ამჟამინდელ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მითითებული საქმიანობების რიცხვი დაახლოებით 500-ია, გეგმის შესრულების შესახებ ბოლო წლიური ანგარიში ასევე ძალიან გრძელია და 300 გვერდზე მეტს იკავებს. ანგარიშის სტრუქტურა გეგმის სტრუქტურის ანარეკლია, რაც 20-ზე მეტ თავს მოიცავს. ამასთანავე, მოცემულია მოკლე, ნახევარგვერდიანი შესავალი.

65. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ეგზავნებათ ანგარიში, აღნიშნეს, რომ დოკუმენტის განსახილველად მხოლოდ მოკლე სესიაა გამოყოფილი და უფრო მოკლე და მეტად ანალიტიკური ანგარიში მათთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა. ანგარიშის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმაც მსგავსი მოსაზრებები გამოთქვეს. ამასთანავე, ასეთი გრძელი ანგარიშის ინგლისურად თარგმნა იმისთვის, რომ საერთაშორისო დონორებმა ისარგებლონ, ძვირიც ჯდება და ბევრი დროც იკარგება.

66. იმისთვის, რომ კარგად განისაზღვროს, თუ რას უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში, აუცილებელი და სასარგებლოა იმ მოთხოვნებზე მითითება, რაც ამგვარი ანგარიშებისთვის მთავრობის ადმინისტრაციას აქვს შემუშავებული. ამ მიზნისთვის, მთავრობის ადმინისტრაციის

შესაბამისი დეპარტამენტის²⁴ წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, რომლებმაც ინფორმაცია იმ შინაარსსა და ფორმატზე მოგვაწოდეს, რაც მთავრობის სამოქმედო გეგმებისთვისაა მოთხოვნილი, მათ შორის განსაკუთრებით ისეთი მულტი-სექტორული სამოქმედო გეგმებისთვის, როგორცაა ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა. ამასთან დაკავშირებით, სავალდებულო სახელმძღვანელო პრინციპები შესულია მთავრობის ადმინისტრაციის პუბლიკაციაში, რომელსაც „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ ეწოდება. ვიდრე ამ სახელმძღვანელოში მითითებულ მოთხოვნებს განვიხილავთ, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იგი შედარებით ბოლოდროინდელი პუბლიკაციაა, რომელიც პირველი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ შეიქმნა. შესაბამისად, გასაგებია, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშება ჯერ ვერ შესაბამება ამ მოთხოვნებს. თუმცა, აუცილებელი და რეკომენდებულია, რომ მომავალი წლიური ანგარიშები ამ მოთხოვნებს შეესაბამებოდეს.

67. სასარგებლო იქნება მოხდეს მთავრობის მულტი-სექტორული სტრატეგიებისა და გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის არსებულ მოთხოვნებზე მითითება, რაც ახსნილია 4.3. ნაწილსა და ნაჩვენებია სახელმძღვანელოს²⁵ დანართი #3. წლიური ანგარიშის ძირითადი სტრუქტურის შემოთავაზებული ელემენტები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

ა. შეჯამება მიზნების მიღწევის შესახებ საქმიანობის ინდიკატორებზე²⁶ დაყრდნობით, ასევე, ინფორმაცია ძირითად რეფორმებზე, რომლებიც მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიმღებების, ზოგადად საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებას.

ბ. ამოცანების მიღწევის მოკლე მიმოხილვა, რაც სამოქმედო გეგმაში დაჯგუფებულია თავებისა და მიზნების მიხედვით.

ბ1. ქვე-თავები თითოეული ამოცანის მიღწევაში პროგრესის შესახებ, რაც საქმიანობის ინდიკატორებს ეფუძნება და აღწერს რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობებს (ხაზგასმა დამატებულია, რადგან ყველა საქმიანობის აღწერა არ არის საჭირო). თითოეულ ქვე-თავში წარმოდგენილი უნდა იყოს დაკავშირებული საქმიანობების სტატუსის მიმოხილვა და შეიძლება ასევე შეიცავდეს: ა) ძირითადი მიღწევების შეფასებას; ბ) წარმატების ისტორიებს; გ) პრობლემების/წარუმატებლობის შეფასებას; და დ) დასკვნებს და შემდგომ ნაბიჯებს.

გ. სამოქმედო გეგმა – “ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თითოეული საქმიანობის განხორციელებაზე“ (ანუ, თითოეული საქმიანობის **სტატუსი**).

²⁴ სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური, პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც მთავრობის ძირითადი ხარისხის მაკონტროლებელი მექანიზმი, რომელსაც ევალება მთავრობის სამოქმედო გეგმებისა და სხვა პოლიტიკის დოკუმენტების ფორმისა და შინაარსის შეფასება.

²⁵ იხ. ამ ანგარიშის დანართი II.

²⁶ ამ ანგარიშისა და თანმხლები სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებისათვის, „საქმიანობის ინდიკატორები“ გაგებულია ისე, რომ იგი მოიცავს როგორც სამიზნე/ზემოქმედების, ისე საქმიანობის/შედეგის ინდიკატორებს.

68. როგორც შემოთავაზებული ელემენტებიდან ჩანს, **წლიურ ანგარიშში ანალიზი კონცენტრირებული უნდა იყოს მიზნებისა და ამოცანების და არა საქმიანობების დონეზე.** შესაბამისად, მივიღებთ უფრო მოკლე ანალიტიკური ანგარიშს, სადაც წარმოდგენილი იქნება ინდიკატორების საფუძველზე მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში მიღწეული პროგრესი. ანალიტიკურ ანგარიშში რეკომენდებულია ცხრილების, გრაფიკებისა და სურათების გამოყენება. სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნა თითოეული საქმიანობის სტატუსის შესახებ, რაც უფრო მოცულობითია, ანალიტიკურ ანგარიშს დანართის სახით უნდა დაემატოს. ასეთი უნდა იყოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ლოგიკური ჩარჩოები, იმ ელემენტების გამოკლებით (როგორცაა „რისკები“), რომლებიც მხოლოდ შიდა მოხმარებისთვისაა.

69. თუ მიმდინარე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიმართ გამოყენებული იქნებოდა მიდგომა, რომლის მიხედვითაც ანგარიშგებისას ყურადღება მიზნებსა და ამოცანებზე უფრო გამახვილდებოდა, ვიდრე საქმიანობებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი წლიური ანგარიში ძირითადად ფოკუსირებული იქნება 53 მიზანსა და ასოცირებულ ამოცანებზე, რომლებიც გეგმაშია მოცემული და არა გეგმის 500 საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ანგარიშგების ტვირთსა და ზედმეტი დეტალის რაოდენობას ანგარიშში, **წამყვანი უწყებები მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მიზნად უნდა ისახავდნენ პრიორიტეტული მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების უფრო შეზღუდული რაოდენობით განსაზღვრას.** ამის მიღწევა კი შესაძლებელია უფრო დისციპლინირებული სიტუაციური ანალიზის ჩატარებით გეგმის შემუშავების პროცესში და იმის უზრუნველყოფით, რომ **წამყვანი უწყებების მიერ თავიანთ ფორმულირებებში უფრო თანმიმდევრული მიდგომა იყოს გამოყენებული.** ადამიანის უფლებათა სამდივნომ მიდგომის განხორციელებასა და ხელშეწყობაზე ინიციატივა უნდა აიღონ, ხოლო წამყვანმა უწყებებმა, რომლებიც ჩართულები არიან ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, უნდა აღიარონ „ხარისხის კონტროლის“ საჭიროება, სამდივნოს მიერ საბოლოო დოკუმენტის რედაქტირების ჩათვლით.

70. წლიური ანგარიშის ძირითადი ფოკუსის თითოეული განხორციელებული საქმიანობის აღწერიდან თითოეული მიზნისა და ამოცანის მიღწევაში პროგრესის მიმოხილვაზე გადასვლასთან ერთად, **რეკომენდებულია ანგარიშისთვის სხვა რელევანტური და სასარგებლო ინფორმაციის დამატება, მათ შორის:**

ა. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ძირითადი დამხმარე სტრუქტურების მოკლე მიმოხილვა:

- i. ადამიანის უფლებათა საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფების/კომისიების საქმიანობები/გადაწყვეტილებები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში; და
- ii. ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ განხორციელებული საქმიანობები.

ბ. დასკვნითი მიგნებები და რეკომენდაციები:

- iii. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ;

- iv. განხორციელების პროცესის და ასოცირებული სტრუქტურების (ადამიანის უფლებათა საბჭო, სამუშაო ჯგუფები და ადამიანის უფლებათა სამდივნო) შესახებ; და
- v. სამომავლო ნაბიჯების და მომავალი ეტაპისათვის შესაძლო პრიორიტეტების შესახებ.

გ. დანართთან ერთად, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ლოგიკურ ჩარჩოებს, სხვა ისეთი სასარგებლო ინფორმაცია, (როგორცაა ორგანიზაციის წევრობა ადამიანის უფლებათა საბჭოში და მის თემატურ სამუშაო ჯგუფებში/კომისიებში, კანონების ან მიღებული პოლიტიკის დოკუმენტების ჩამონათვალი და ა.შ.) შეიძლება თან დაერთოს ანგარიშს.

71. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის შესაძლო ახალი სტრუქტურა, რომელიც შემუშავებულია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებული მოდელის საფუძველზე, ნაჩვენებია მე-5 ცხრილში. კარგად ორგანიზებული ანალიტიკური წლიური ანგარიში ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ უნდა გადაიქცეს ადამიანის უფლებათა საბჭოსა და ადამიანის უფლებათა სამდივნოს „ფლაგმან“ პუბლიკაციად, რომელსაც ყოველწლიურად ელოდება პარლამენტი, სამოქალაქო საზოგადოება და დონორი ორგანიზაციები. იგი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც უფრო ეფექტური იარაღი, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშგებას ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო მექანიზმების მიმართ. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ვებსაიტზე გამოქვეყნების გზით, ვიდრე მისი განხილვა პარლამენტში დაიწყება.

iii. კვარტალური და ნახევარწლიური ანგარიშები

72. რაც შეეხება სხვა მულტი-სექტორულ სამოქმედო გეგმებს, **პასუხისმგებელმა უწყებებმა კვარტალურად უნდა განაახლონ ინფორმაცია ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ და წარუდგინონ იგი ადამიანის უფლებათა სამდივნოს.** ინფორმაცია უნდა შეგროვდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის თავების მიხედვით და წარედგინოს შესაბამის თემატურ სამუშაო ჯგუფებს/კომისიებს. **ნახევარწლიანი მიმოხილვა გეგმის განხორციელების შესახებ, რაც უწყებების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით იქნება შედგენილი, შემუშავებული და წარდგენილი უნდა იქნას ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მის შუალედურ შეხვედრაზე.** ამ შუალედური მიმოხილვის, ასევე კვარტალური ანგარიშების ძირითადი აქცენტი იქნება ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების სტატუსი. მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემა, რომელიც წლის განმავლობაში ეფექტურად ფუნქციონირებს,

ცხრილი 5: წლიური ანგარიშისთვის რეკომენდებული ახალი სტრუქტურა

"პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოში" მოცემული მოთხოვნების საფუძველზე

- a. შინაარსი
- b. შეჯამება
- c. ადამიანის უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის თითოეული თავის აღწერა/ანალიტიკური მიმოხილვა
 - a. ძირითადი პარტნიორების და შესაბამისი სექტორული სამოქმედო გეგმების მოკლე მიმოხილვა;
 - i. განსაზღვრეთ და მიუთითეთ შესაბამისი განმახორციელებელი სტრუქტურები და გეგმები (ანუ უწყებათაშორისი კომისიები და სამოქმედო გეგმები);
 - b. თითოეულ მიზანთან და მის ამოცანებთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის მოკლე შეფასება;
 - i. ძირითადი მიღწევების ხაზგასმა საქმიანობის ინდიკატორებზე მითითებით; [გაკეთდეს მითითება სამუშაოზე, რომელიც თითოეული უწყების მიერ განხორციელდა შესაბამის სამუშაო ჯგუფში]
 - ii. მოიხსენიეთ ნებისმიერი წარმატებული ისტორია;
 - iii. შეაფასეთ ნებისმიერი გამოწვევა, პრობლემა ან წარუმატებლობა (მათ შორის, დაფინანსება);
 - iv. დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები;
 - 1. შესაძლოა შეიცავდეს ნებისმიერ შესაბამის რეკომენდაციაზე მითითებას, რომელიც მომზადებულია საქსპერტო ორგანოების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ;
- d. განიხილეთ სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი ძირითადი ინსტიტუტები;
 - i. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებების საბჭოს და მისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა/გადაწყვეტილებები;
 - ii. ადამიანის უფლებების საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობა;
- e. დასკვნები და რეკომენდაციები:
 - i. გეგმის შესახებ;
 - ii. განხორციელების პროცესი და დაკავშირებული სტრუქტურები (ადამიანის უფლებების საბჭო, სამუშაო ჯგუფები და ადამიანის უფლებების სამდივნო); და
 - iii. შემდგომი ნაბიჯები და შესაძლო პრიორიტეტები შემდგომი ეტაპისთვის;
- f. **დანართები:**
 - a. ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმის ლოგიკური ჩარჩოები, რომლებიც შეიცავს მხოლოდ შერჩეულ საჯარო ინფორმაციას და თითოეული საქმიანობის სტატუსს;
 - b. ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია, რომელზედაც მითითება მოცემულია ანგარიშში (ანუ თემატური სამუშაო ჯგუფების/კომისიების წევრობა, მიღებული კანონების ან პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების სია, ა.შ.).

წლიური ანგარიშისთვის საჭირო ინფორმაციის წლის ბოლოს შეგროვებისას არსებულ წნეხს შეამსუბუქებს. სხვა სამთავრობო სამდივნოების გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც მულტი-სექტორულ სამოქმედო გეგმებს ახორციელებენ, შესაძლებელია ეფექტური და მოქნილი საოპერაციო ონლაინ ანგარიშგების პლატფორმის შემუშავება, რომელიც ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების დიდ დანახარჯებს არ

მოითხოვს და შეამცირებს გეგმის განხორციელებაში ჩართული უწყებების, ასევე სამდივნოს ტვირთს. ეს უფრო დეტალურად მომდევნო ნაწილშია განხილული.

ბ. მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემა

73. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი უწყებებისთვის ანგარიშგების დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები ამჟამად არ არსებობს. შედეგად, უწყებათა მიერ მასალების წარდგენა სხვადასხვა ფორმატში ხდება, რაც დამატებით და ზედმეტ გამოწვევებს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სამდივნოსთვის, რომელსაც მასალების საბოლოო პროდუქტად შეკვრა ევალება. ასევე შეიძლება საკმაოდ განსხვავდებოდეს წარმოდგენილი ინფორმაციის მოცულობა და ხარისხი, მათ შორის, უარეს შემთხვევაში, ადგილი ქონდეს ჭარბი ინფორმაციის წარდგენას, სადაც საჭირო/საკმარისი ინფორმაცია სადღაცაა ჩაკარგული. **კარგად შემუშავებული ონლაინ მონიტორინგისა და ანგარიშგების პლატფორმა ადამიანის უფლებათა სამდივნომ რაც შეიძლება მალე უნდა შეიმუშავოს** იმისათვის, რათა ეს და სხვა პრობლემები შემცირდეს. იდეალურ შემთხვევაში, სისტემა მარტივი, მაგრამ ეფექტიანი უნდა იყოს, მინიმალური დანახარჯი ქონდეს, ხელი შეუწყოს განხორციელებაში ჩართული უწყებების მიერ დროულ და ეფექტურ ანგარიშგებას და ადამიანის უფლებათა სამდივნოს მხრიდან მისი მართვისა და ფუნქციონირებისთვის მინიმალურ ადამიანურ რესურსებს მოითხოვდეს.

ი. ონლაინ პლატფორმა მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის

74. საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, შესწავლილი იქნა სამოქმედო გეგმების სხვადასხვა სამდივნოთა ინიციატივები საქართველოში, რომლებიც ონლაინ ანგარიშგების პლატფორმის შექმნას გულისხმობს. ამ ინიციატივათაგან, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიდგომა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითია. თავის მრავალრიცხოვან ფუნქციებს შორის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სამდივნოს როლს ასრულებს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და მისი 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მსგავსად, ეს ორი დოკუმენტიც მულტი-სექტორული პოლიტიკის დოკუმენტია. თითქმის ყველა უწყება, რომლებიც მიგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაშია ჩართული, ასევე წარმოადგენს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განმახორციელებელ უწყებებს.

75. რადგან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოც სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩვეული გამოწვევების წინაშე იდგა, სააგენტომ გადაწყვიტა შეემუშავებინა ონლაინ ანგარიშგების „უფასო“ პლატფორმა, რომელიც SharePoint-ზე, მაიკროსოფტის აპლიკაციაზე იქნებოდა დაფუძნებული. SharePoint-ი დოკუმენტების უსაფრთხოდ გაცვლის ინტერნეტ-პროგრამაა პარტნიორთა სპეციფიკურ ქსელში. იგი Microsoft Office 365-ის შემადგენელი ნაწილია, ყოველგვარი დამატებითი ღირებულების გარეშე. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ SharePoint-ი მიგრაციის სამოქმედო გეგმის შინაარს მთავრად და მომხმარებელთა ქსელი შექმნა, რომელიც მიგრაციის სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი უწყებების საკონტაქტო პირებისაგან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამდივნოს წარმომადგენლებისგან შედგება. ფორმატები, რომლებიც ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგებს, აპლიკაციის შემადგენელი ნაწილია. ისინი განსაზღვრავს

ანგარიშმგებელი უწყებების მიერ შესატანი ინფორმაციის ტიპსა და მოცულობას. ეს ინფორმაციის წარდგენის სტანდარტიზაციის პროცესს უწყობს ხელს, რაც შესაბამისად ამცირებს სამდივნოს მიერ რედაქტორების საჭიროებას. დოკუმენტების უსაფრთხოდ გაზიარების სისტემა პაროლითაა დაცული. სააგენტოს მომხარებლებს მხოლოდ იმ ინფორმაციაზე აქვთ წვდომა, რაც მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს შეეხება. ინფორმაციის შეტანა უშუალოდ სამოქმედო გეგმაში ხდება, რომლის ჩამოტვირთვაც შესაძლებელია, როგორც Word-ის ან Excel-ის დოკუმენტი. მონიტორინგი და ანგარიშგება კვარტალურად ხდება.

76. სისტემის შექმნის მიზანი სამდივნოს ტვირთის შემცირება იყო. მაგ., განახლების შეტანის შესახებ შეხსენება ავტომატურად ეგზავნება ყველა უწყების საკონტაქტო პირს (საკონტაქტო პირი ყოველთვის ორია იმ შემთხვევებისთვის, როცა ერთ-ერთი არ არის, ან სხვა სამსახურშია გადაყვანილი) ყოველკვარტალურად, განახლებების წარდგენის 15-დღიანი ვადის დასაწყისში. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის წარდგენა არ ხდება რამდენიმე დღის განმავლობაში, კიდევ ერთი შეხსენება იგზავნება ავტომატურად, როგორც გაფრთხილება, რომ ახლოვდება საბოლოო ვადა. თუ განახლებების წარდგენა არ მოხდება, საბოლოო შეტყობინება გაიგზავნება ავტომატურად იმის შესახებ, რომ ანგარიშგების ვადა ამოწურულია და რომ ინფორმაციის წარდგენასთან ერთად საჭირო იქნება „ოფიციალური“ ახსნა-განმარტების გაკეთება. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მხოლოდ ერთი ადამიანი მართავს სისტემას, რომელსაც პარალელურად სხვა მოვალეობებიც გააჩნია. მას ეხმარება ერთი IT თანამშრომელი, რომელსაც ასევე ბევრი სხვა მოვალეობა აკისრია. ერთ-ერთი უწყების წარმომადგენლის შეფასებით, რომელიც ამ ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირია და მიგრაციის შესახებ სამოქმედო გეგმის შესახებ ანგარიშგება ეხება, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ონლაინ პლატფორმა „საუკეთესო“.

77. სისტემის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ იგი იყენებს ფაილების ატვირთვის და გაზიარების სისტემას, რომელიც უფასოდაა ხელმისაწვდომი Microsoft Office-ის ხელმომწერებისთვის ნებისმიერი ადგილიდან, ოფისიდან, სახლიდან, ან მივლინების დროს, მათ შორის მობილური მოწყობილობებიდანაც.

78. ონლაინ პლატფორმა, რომელიც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და განახლებისთვის გამოიყენება, რაც შეიძლება მალე უნდა შეიქმნას. რეკომენდებულია SharePoint-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, რომელიც დამატებით ხარჯებს არ საჭიროებს. ადამიანის უფლებათა სამდივნომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გამოცდილება უნდა გაიზიაროს SharePoint-ის პროგრამული უზრუნველყოფის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რაც მიგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე ანგარიშგებას შეეხება. თუ ამ ორ სამდივნოს შორის თანამშრომლობა შედგება, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს SharePoint-ის პროგრამა შეიძლება მოერგოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმას და შეიცვალოს სამდივნოს ლოგოები და სხვა ვიზუალური მხარე; აიტვირთოს ახალი სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი ნაწილი; განისაზღვროს ახალი პასუხისმგებელი პირები. რადგან გეგმის განხორციელებაში ჩართული ზოგიერთი უწყება და ანგარიშგების პასუხისმგებელი პირები შესაძლოა ერთი და იგივე იყოს როგორც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმისთვის, ისე მიგრაციის სამოქმედო გეგმისთვის, სწავლის პროცესი ადამიანის უფლებების

სამთავრობო სამოქმედო გეგმის ახალი ონლაინ პლატფორმის მომხმარებლებისთვის შეიძლება საკმაოდ მარტივი იყოს იმ სამუშაოების წყალობით, რაც უკვე განხორციელდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

79. კიდევ ერთი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების მონიტორინგისთვისაა შექმნილი SIMORE-ია (ესპანური აკრონიმი, რომელიც იშიფრება, როგორც რეკომენდაციების მონიტორინგის სისტემა), რომელიც პარაგვაის მთავრობამ შეიმუშავა.²⁷ SIMORE-ს გააჩნია მარტივი, საჯაროდ ხელმისაწვდომი ძებნის სისტემა იმ ინფორმაციის მოსაძიებლად, რომელიც ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოებისა და სხვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მიერ პარაგვაის ხელისუფლების მიმართაა გაკეთებული. მონაცემთა ბაზა ასევე მოიცავს მთავრობის მიერ რეკომენდაციებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციას. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი გეგმავს პროგრამული უზრუნველყოფის ინგლისური ვერსიის წევრი ქვეყნებისათვის უფასოდ მიწოდებას. თუმცა, პროგრამის დაინსტალირება და ადაპტირება ისეთი მარტივი არ იქნება, როგორც SharePoint-ის პროგრამის (რომელიც უკვე დაინსტალირებული და ადაპტირებულია საქართველოში). **SIMORE-ი განხილული უნდა იქნას, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო რეკომენდაციებზე რეაგირებას. რეკომენდებულია, რომ სახალხო დამცველის ოფისმაც მოახდინოს SIMORE-ი ადაპტირება, რათა მოხდეს მათი რეკომენდაციების წინა პლანზე წამოწევა და მთავრობის მხრიდან მათზე რეაგირების ხელშეწყობა, მათ შორის ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის საშუალებით.**

ii. ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპები ონლაინ პლატფორმისთვის

80. პლატფორმით სარგებლობის ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპები მარტივი უნდა იყოს და ინფორმაცია კი მხოლოდ იმ მოთხოვნებს მოიცავდეს, რაც წლიურ და პერიოდულ ანგარიშებშია მოცემული. ეს მოთხოვნები მე-6 ცხრილშია შეჯამებული.

²⁷ იხ. “რეკომენდაციების მონიტორინგის სისტემა, SIMORE, პარაგვაის გამოცდილება”, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.hchr.org.py/docs/publicaciones/045%20Sistematizacion%20SIMORE%20English%20version.pdf> (ნანახია 2017 წლის 21 აპრილს). იხ. აგრეთვე SIMORE-ის ინსტრუქცია, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://www.youtube.com/watch?v=5R-spwu0YXc> (ნანახია 2017 წლის 21 აპრილს).

81. რადგან დიდი რაოდენობის საქმიანობებისა და ამოცანების ანგარიშგება ხდება, ანგარიშის ფორმატში მათთვის გამოყოფილი ადგილი შეზღუდული უნდა იყოს, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტად გრძელი და დეტალური ინფორმაციის შეტანა. საქმიანობის სტატუსის შესახებ ძირითადი ინფორმაციის გარდა, უნდა დაემატოს ამოცანებზე მოსალოდენლი ზეგავლენის მოკლე შეფასება. მითითებული უნდა იქნას შედეგები და სამიზნე ჯგუფის/ზემოქმედების ინდიკატორები, ასევე პრობლემები თუ გამოწვევები. და ბოლოს, ნებისმიერი დასკვნა, რეკომენდაცია და/ან სამომავლო ნაბიჯები მოკლედ უნდა იქნას მითითებული. აღსანიშნავია, რომ თითოეული საკონტაქტო პირი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მხოლოდ იმ ნაწილს ნახულობს,

ონლაინ ანგარიშგების პლატფორმაში უწყების მიერ ინფორმაციის შეტანის შემოთავაზებული სახელმძღვანელო პრინციპები

1. „სტატუსის“ ქვეშ მიუთითეთ თითოეული უწყების საქმიანობები:
 - ა. დასრულებულია
 - ბ. ნაწილობრივ დასრულებულია
 - გ. მიმდინარეა
 - დ. შეჩერებულია

2. თქვენი უწყების საქმიანობების განხორციელებაში მიღწეული პროგრესი თითოეული ამოცანის მიხედვით;

გამოყოფილ სივრცეში:

 - ა. მოკლედ აღწერეთ მთავარი მიღწევები სამიზნე ჯგუფის და მოქმედების/შედეგების ინდიკატორების მითითებით;
 - ბ. მოახდინეთ ნებისმიერი წარმატებული ისტორიის იდენტიფიცირება და მიუთითეთ მოკლე განმარტება;
 - გ. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი გამოწვევა, პრობლემა (მათ შორის, დაფინანსება) ან წარუმატებლობა.
 - დ. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი დასკვნა, რეკომენდაცია და/ან შემდგომი ნაბიჯები.

რომელიც მის უწყებას უკავშირდება.

ცხრილი 6.

82. ანგარიშგების ფორმატში მხოლოდ ხუთი სვეტი უნდა იყოს: ერთი საქმიანობის სტატუსისთვის და ოთხი თითოეული ამოცანის მიღწევაში პროგრესის შეფასება. იგი რაც შეიძლება მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თითოეულ ამოცანაზე 100 ან ნაკლები²⁸ სიტყვის გამოყენებით. ერთი და იგივე მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული ამოცანების შეფასება ერთობლივად უნდა მოხდეს. სიტყვების რაოდენობრივი შემოთავაზებული

²⁸ ეს ციფრი უნდა გადაიხედოს 2018-2019 ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის ამოცანების რაოდენობების გათვალისწინებით. რაც უფრო მეტი იქნება ამოცანა, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს თითოეულ შეფასებაში გამოყენებული სიტყვების რაოდენობა, რათა მოხდეს წლიური ანგარიშის ანალიტიკური ნაწილის მოცულობის 35-დან 40 გვერდამდე შეზღუდვა.

შეზღუდვა ოთხი დაკავშირებული ამოცანისთვის იქნებოდა, მაგ. 400 სიტყვა.²⁹ ონლაინ პლატფორმის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა დოკუმენტის სიგრძესთან დაკავშირებით, უნდა შეამსუბუქოს უწყების პასუხისმგებელი პირების ანგარიშების ტვირთი, შეამციროს დრო, რომელიც ამ ინფორმაციის შეყვანისთვისაა საჭირო, გაამარტივოს სამდივნოს მიერ როგორც ინფორმაციის მართვა, ისე ანალიზი. კვარტალური ანგარიშგება კუმულაციური ხასიათის იქნება ისე, რომ მეოთხე კვარტლის ბოლოს წლიური ანგარიშისთვის უკვე საკმარისი ინფორმაცია იქნება შეყვანილი.

83. ონლაინ პლატფორმამ სამდივნოს უნდა მიაწოდოს ყველა უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რაც წლიური ანგარიშის საფუძველი გახდება. ინფორმაციები თავების მიხედვით უნდა დაიყოს და დაემატოს მოკლე მიმოხილვა სამდივნოს მიერ, სადაც გაკეთდება მითითება ძირითად პარტნიორებზე, ნებისმიერ რელევანტურ სექტორულ ან მულტი-სექტორულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებზე, კომისიებსა და საბჭოებზე. თითოეული თავის დასკვნაში, სამდივნომ უნდა ჩაურთოს მითითება ნებისმიერ იმ რეკომენდაციაზე, რომელიც ამ თავთან დაკავშირებით საერთაშორისო ან ადგილობრივი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანოების მიერ გაკეთდა. და ბოლოს, მთლიან დოკუმენტში სამდივნომ უნდა უზრუნველყოს თანმიმდევრული ფორმულირების, ფორმატისა და წერის სტილის გამოყენება. თითოეული თავი საბოლოო კომენტარებისთვის უნდა გადაეგზავნოს შესაბამის თემატურ სამუშაო ჯგუფებს.

84. მას შემდეგ, რაც თითოეული თავი განხილული და დამტკიცებული იქნება, სამდივნომ უნდა დაასრულოს წლიური ანგარიში შემდეგი ინფორმაციის დამატებით:

ა. შინაარსი;

ბ. შეჯამება;

გ. ეროვნული სამოქმედო გეგმის მთავარი მხარდამჭერი სტრუქტურების მოკლე მიმოხილვა, რომელიც უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებების საბჭოს და მისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობას/გადაწყვეტილებებს საანგარიშო პერიოდში და ადამიანის უფლებების სამდივნოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას.

დ. დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც უნდა ეხებოდეს ეროვნულ სამოქმედო გეგმას, მისი განხორციელების პროცესს, შემდგომ ნაბიჯებს ან მომავალი ეტაპის პრიორიტეტებს;

ე. დანართი, რომელიც უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ლოგიკურ ჩარჩოებს, სადაც მოცემული იქნება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც საჯაროა, მათ შორის, თითოეული საქმიანობის სტატუსი;

ვ. დამატებითი დანართები, სადაც მოცემულია: საბჭოში წევრობა და მისი სამუშაო ჯგუფები; ნებისმიერი კანონი, პოლიტიკის დოკუმენტი ან დებულება, რომელიც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შედეგადაა დამტკიცებული.

85. შემდეგ წლიური გეგმის პროექტი შეიძლება ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრებს გადაეგზავნოს, რათა მოხდეს მისი საბჭოს კრებაზე დამტკიცება.

86. შეგახსენებთ, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა საბჭოს, მისი თემატური სამუშაო ჯგუფებისა და ადამიანის

²⁹ ოთხასი სიტყვა ანგარიშის დაახლოებით ნახევარ გვერდს უდრის.

უფლებათა სამდივნოსათვის „ფლაგმანი“ პუბლიკაცია იქნება. იგი ადამიანის უფლებათა დამცველების უპირველესი წყარო, პოლიტიკის შემუშავებელთათვის -სახელმძღვანელო, ხოლო მთავრობისთვის ის ინსტრუმენტი იქნება, რომელიც მას საერთაშორისო ანგარიშგების ვალდებულებების შესრულებაში დაეხმარება. შესაბამისად, ყოველი ძალისხმევა უნდა ვიხმაროთ იმისთვის, რომ იგი სასარგებლო და რაც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს.

V. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერება

87. მუდმივმოქმედი ორგანოები, რომლებიც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისთვის შეიქმნა, გეგმის წარმატების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ვერ იქნება წარმატებული, თუ არ იარსებებს ავტორიტეტული მონიტორინგის/კოორდინაციის მექანიზმი, უწყებათა გადამზადებული და ანგარიშვალდებული პასუხისმგებელი პირების ეფექტური ქსელები და აქტიური, თანამშრომლების შესაბამისად დაკომპლექტებული სამდივნოები. საქართველოს ყველა ეს სამი კომპონენტი გააჩნია. თუმცა, აუცილებელია ზომების გატარება მათი განმტკიცებისთვის და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს უკეთ გაშუქებისთვის.

ა. ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო

88. ადამიანის უფლებათა საბჭოს, როგორც მაღალი დონის საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა, რომელსაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე ზედამხედველობა ევალება, საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რაც ძლიერ პოლიტიკურ სიგნალს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობისთვის. თუმცა, იმ მომენტისთვის, როცა ეს საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდებოდა, უკვე ორი წლის მანძილზე საბჭოს შეხვედრები არ იყო შემდგარი. ამ ფაქტის გამო, ადამიანის უფლებათა სამდივნო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელსაც სამინისტროთაშორისი ქსელის შეხვედრების ორგანიზატორის როლი ეკისრებოდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო ბოლო ორი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე მუშაობა მოქმედი ადამიანის უფლებათა საბჭოს გარეშე გაგრძელდა, შედეგად მიღებულმა მმართველობის ორგანოს ვაკუუმმა, ყველაზე მცირე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეაფერხა და გარემოებათა ცვლილებებზე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ქსელის მორგების, ასევე გეგმისა და ადამიანის უფლებათა შესახებ მთავრობის სხვა ინიციატივების გასაჯაროების პროცესი შეანელა.

89. მთავრობა შეეცადა, აემოქმედებინა ადამიანის უფლებათა საბჭო 2016 წლის 13 დეკემბრის #551 დადგენილების მიღებით, რომელიც ფორმალურად აფუძნებს ადამიანის უფლებათა უწყებათაშორის საბჭოს, მისი წევრობისა და ფუნქციების გათვალისწინებით. ეს ფუნქციები მოიცავს სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს (მუხლი 3.1(გ)) და სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე ყოველწლიური ანგარიშის

მომზადებას (მუხლი 3.2(დ)). ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ დადგენილება აკონკრეტებს, რომ საბჭოს „სხდომები, როგორც წესი, იმართება 6 თვეში ერთხელ“ (მუხლი 6.3).

90. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო რაც შეიძლება მალე შეიკრიბოს, რათა, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილოს მიღებული გაკვეთილები და გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ეს იქამდე უნდა მოხდეს, ვიდრე ახალი, 2018-2019 წლების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი დაიწყება, რათა უწყების პარტნიორებს გააჩნდეთ ერთგვაროვანი გაგება იმისა, თუ როგორ გაგრძელდება მუშაობა. რასაკვირველია, საბჭოს კვლავაც მოუწევს შეკრება წლის დასაწყისში, რათა დაამტკიცოს წლიური ანგარიში და მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

ბ. თემატური სამუშაო ჯგუფები

91. თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ადამიანის უფლებების უწყებათაშორის საბჭოს ექვემდებარება და მის მიერაა დამტკიცებული, ყოველ სამ თვეში ერთხელ უნდა შეიკრიბონ (დადგენილება 551, მუხლი 5.4). ისინი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შესრულებისთვის საქმეში ძირითად როლს უნდა ასრულებდნენ. ინფორმაცია მათი განხილვებისა და დასკვნების შესახებ, განსაკუთრებით იქ, სადაც გადაწყვეტილებებია მისაღები ან შემდგომი დახმარებაა საჭირო, განსახილველად საბჭოს უნდა წარედგინოს. იმისათვის, რათა მიმდინარე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის 23 ძირითადი თავი იქნას მოცული, შექმნილია შემდეგი ცხრა თემატური სამუშაო ჯგუფი:

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და გამჭირვალე მართლმსაჯულების სისტემა, პროკურატურა, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა
2. სასჯელაღსრულების სისტემა, პრობაცია და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია, წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა და ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლა
3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება
4. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დაცვა, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლება და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა
5. გენდერული თანასწორობა; ქალთა გაძლიერება და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა
6. ბავშვთა უფლებების დაცვა
7. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები, თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები, ეკომიგრანტების უფლებები, რეპატრიანტთა უფლებები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა
8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები
9. შრომითი უფლებები, საკუთრების უფლების დაცვა, ეკოლოგიური უფლებების დაცვა

92. თუმცა, მოქმედი საბჭოს არარსებობის პირობებში, ბუნდოვანია რამდენად რეგულარულად და ეფექტურად ფუნქციონირებდა თემატური სამუშაო ჯგუფები. ამ

დროის განმავლობაში, შეიქმნა რამდენიმე თემატური ორგანო, რომლის შეხვედრებს იწვევს ან მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა სამდივნო. ესენია:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის განხორციელების უწყებათაშორისი საბჭო;
2. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; და
3. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭო.

93. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად მისასალმებელია მაღალი დონის მექანიზმების შექმნა, რომლებიც კონკრეტული ადამიანის უფლებების დაცვის კონვენციებისა და ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების იმპლემენტაციის კოორდინაციისა და მონიტორინგისთვისაა განკუთვნილი, როგორცაა ოჯახში ძალადობა, ბუნდოვანია ეს მექანიზმები როგორ იქნება დაკავშირებული ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან. იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული გადაფარვა და რესურსების ხარჯვა, რეკომენდებულია, რომ მოხდეს არსებული და ახალი კომისიების ან საბჭოების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემაში ინტეგრირება, რათა გამოირიცხოს ცალკეული თემატური სამუშაო ჯგუფების საჭიროება ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე. ნებისმიერი ახალი ადამიანის უფლებათა საბჭოებისა და კომისიების კავშირი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმასა და იმ თემატურ სამუშაო ჯგუფებთან, რომლებიც უკვე შექმნილია ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ, გულდასმით უნდა იქნას გააზრებული. ადამიანის უფლებათა სამდივნოს დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსები უნდა მიეცეს იმისთვის, რომ მან ეფექტურად შეძლოს იმ დამატებითი სამუშაოების შესრულება, რაც მოსდევს შედეგად ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი, მაღალი დონის ორგანოებისა და მექანიზმების შექმნას.

94. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა საბჭოს ბოლო შეკრების შემდეგ, მნიშვნელოვნადაა შეცვლილი გარემოებები, აუცილებელია თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამონათვალის განახლება. კარგი იქნება, თუ მოხდება თემატური სამუშაო ჯგუფების ორგანიზება, რომ დაიფაროს მომავალ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში შემოთავაზებული თავები (იხ. ცხრილი 2):

1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები
2. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები
3. ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა (ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს მონაწილეობით)
4. ბავშვთა უფლებები (დაფარავს ბავშვთა უფლებების კომისიას)
5. უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებები (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საბჭოს მონაწილეობით)
6. იძულებით გადაადგილებული პირების, მიგრანტების და ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს მცხოვრები პირების უფლებები.

გ. არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობის მხარდაჭერა და ხელშეწყობა

95. აპრილსა და ივლისში კონსულტანტის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრებზე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის, განსაკუთრებით მისი შემუშავებისა და მონიტორინგის მიმართ, განახლებული ინტერესი დაფიქსირდა. ინტერესი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიმართ გაიზარდა აგრეთვე რეგიონული და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდანაც, რადგან ადამიანის უფლებათა სამდივნო ბევრი ვიზიტისა და რეგიონული ღონისძიების ორგანიზებას ახორციელებს. ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორები გაურკვეველობაში არიან ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მომავლისა და მისი მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ, ითვალისწინებენ რა იმ ფაქტს, რომ ადამიანის უფლებათა საბჭო 2015 წლის შემდეგ აღარ შეკრებილა და რომ თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრა 2016 წლიდან აღარ ჩატარებულა. ბოლო დროს შეიქმნა რამდენიმე ახალი, ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული კომისია და საბჭო. თითოეული მათგანი საკუთარ მიდგომას შეიმუშავებს, რათა ხელი შეეწყოს დაარეგულირდეს არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობა. არსებობს შემფოთება იმის თაობაზე, რომ განსხვავებული წესები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციათა ადამიანის უფლებათა კომისიებსა და საბჭოებში მონაწილეობას არეგულირებს, გაზრდის გაურკვეველობას და შეამცირებს ამ ორგანოების მუშაობის გამჭვირვალობას. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ კომისიასა და საბჭოს შესაძლოა საკუთარი პროცედურები გააჩნდეს, მათ აუცილებლად ერთიანი მიდგომა უნდა ჰქონდეთ არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობასთან დაკავშირებით, რაც დაფუძნებული იქნება ნათელ და ობიექტურ კრიტერიუმებზე, რათა განისაზღვროს მონაწილეობის ხარისხი და პრივილეგიები. ეს კრიტერიუმები ასევე უნდა იქნას გამოყენებული თემატური სამუშაო ჯგუფების მიმართ, რომლებიც უნდა აღდგეს და რაც შეიძლება მალე შეიკრიბოს.

96. სასარგებლო იქნება გაეროს მიდგომის განხილვა, რომელსაც იგი არასამთავრობო ორგანიზაციების ადამიანის უფლებათა საბჭოს, ეკონომიკური და სოციალური საბჭოსა და სხვა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში მონაწილეობის ხელშეწყობისა და რეგულირებისთვის იყენებს.³⁰ ძირითადი ელემენტები იმ ჩარჩოსი, რომლებიც არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობას დაარეგულირებს შემდეგია:

ა. კეთილსინდისიერი არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაწილეობის პრივილეგიების საფუძვლებრივი სისტემა, რაც დამოკიდებულია მათ აქტიურ ჩართულობასა და ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიაში მოცემული საკითხების ადვოკატირებაზე;

ბ. სტანდარტული აპლიკაციის ფორმა და გამჭვირვალე პროცესი ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით, რათა თითოეულ ორგანიზაციას შესაბამისი დონის

³⁰ იხ. ის წესები, რომლებიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სტატუსის მიმართ გამოიყენება. ისინი მოცემულია ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციაში 1996/31 და შეჯამებულია შემდეგ მისამართზე <http://www.un.org/esa/coordination/ngo/about.htm>.

პრივილეგიები მიენიჭოს (სტატუსის ხარისხი უნდა გადაწყდეს თავმჯდომარის ან პასუხისმგებელი ორგანოს ბიუროს მიერ, ადამიანის უფლებათა სამდივნოს რეკომენდაციის საფუძველზე);

გ. განაცხადების შეტანის ღია პროცესი და მინიჭებული პრივილეგიების ხარისხის პერიოდული გადახედვა³¹ (ხელახალი განაცხადი იმ ორგანიზაციების მიერ, რომელთაც საკონსულტაციო სტატუსი აქვთ), წარსულში მიღებული მონაწილეობისა და თითოეული ორგანიზაციის შესაბამისი აქტივობის გათვალისწინებით;

დ. პრიორიტეტი ენიჭება კვალიფიციურ აპლიკანტებს, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციებისა და სექტორული ჯგუფების მიერაა წარმოდგენილი, რაც სამოქალაქო ორგანიზაციებს წაახალისებს, შექმნან ქსელები, შეიმუშავონ ერთიანი პოზიციები და უფრო მეტად ეფექტური მიდგომები უფლებათა დაცვის საკითხების მიმართ;

ე. ცხადი შეზღუდვა სამოქალაქო საზოგადოების დამკვირვებლებზე ხმის მიცემასთან მიმართებაში, რაც ხელს შეუწყობს ეფექტური დაცვის სტრატეგიების შემუშავებასა და არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დამოუკიდებლობის დაცვას.

97. საკონსულტაციო სტატუსის ხარისხისა და მის პროპორციულად პრივილეგიების განსაზღვრის შესაძლო ჩარჩო მე-7 ცხრილშია მოცემული. რეკომენდებულია, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს გამჭვირვალე და ობიექტური მიდგომის დაუყოვნებლივ მიღებას, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის რეგიონული ორგანიზაციების მონაწილეობას ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. მას შემდეგ, რაც მოხდება წინასწარი შეთანხმება ყველა თემატურ სამუშაო ჯგუფთან, მათ შორის დაკავშირებულ კომისიებსა და საბჭოებთან, შესაძლებელია კრიტიკიუმებისა და პროცედურების დამტკიცება და სამი წლის ვადაში დასრულება, მას შემდეგ, რაც მოხდება ფაქტობრივი გამოცდილების შეფასება. ასევე რეკომენდებულია, რომ ადამიანის უფლებათა სამდივნომ განიხილოს არაფორმალური სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებით, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ყველაზე აქტიური დაინტერესებული პირები, რათა მათ შეისწავლონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა საკითხები, გააკეთონ რეკომენდაციები და შეიმუშავონ კომუნიკაციის უფრო ეფექტური სტრატეგია, განსაკუთრებით რეგიონული არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე (ორივე მათგანი არასრულფასოვნადაა წარმოდგენილი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის სამუშაოებში). ძალისხმევა იქნება საჭირო იმისთვის, რომ გაძლიერდეს თანამშრომლობა მედიასთან, რაც ტრენინგებისა და საინფორმაციო ღონისძიებების გზით შეიძლება მოხდეს.

დ. ადამიანის უფლებათა სამდივნო

98. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანის უფლებათა სამდივნოს უნარზე რეკომენდაცია გაუწიოს, მხარდაჭერა აღმოუჩინოს და კოორდინაცია მოახდინოს ათობით

³¹ შემოთავაზებულია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

წამყვანი უწყებისა, მოემსახუროს რამდენიმე მაღალი დონის საბჭოსა და კომისიას, კავშირი იქონიოს სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორების ფართო სპექტრთან და ატაროს კვლევები ადამიანის უფლებათა შესახებ, რათა ამ საკითხების ირგვლივ სამთავრობო პოლიტიკა ჩამოყალიბდეს. საკონსულტაციო მომსახურების გაწევის პერიოდში, სამდივნო სამი ადამიანისაგან შედგებოდა: სამდივნოს ხელმძღვანელი და ორი თანამშრომელი. დაგეგმილი იყო დამატებით ორი თანამშრომლის აყვანა, რაც სამდივნოში დასაქმებულთა რიცხვს ხუთამდე გაზრდიდა. რასაკვირველია, ახალი თანამშრომლების ტრენინგს დრო დაჭირდება და სხვა ვაკანსიებიც გაჩნდება იმ მიზეზის გამო, რომ თანამშრომლები სხვა თანამდებობებზე გადადიან, რაც ჩვეულებრივი კარიერული წინსვლის პროცესს წარმოადგენს.

99. იმ პერიოდში, როცა სამდივნო თანამშრომელთა სიმცირეს განიცდიდა, მასზე დაკისრებული დავალებების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თითოეულ ახალ დავალებაზე ან ამოქმედებულ მექანიზმზე, რაზეც ის იყოს პასუხისმგებელი, სამდივნოს თანამშრომლების მიმართ მოლოდინები და მოთხოვნები იზრდებოდა, რასაც არ მოყოლია რესურსებისა და შესაძლებლობების ადეკვატური ზრდა. საერთაშორისო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ყველაზე სანდო გზა იმისთვის, რომ შეფერხდეს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანოს ფუნქციონირება მისი ახალი მანდატებით გადატვირთვაა, მისთვის დამატებითი რესურსების გამოყოფის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ეს განზრახვა არ ამოძრავებთ საქართველოში, შედეგად თანამშრომლები შესაძლოა იმდენად გადაიძაბონ იმის მცდელობაში, რომ ყველაფერი მოასწრონ, რომ მათი ძირითადი ფუნქციები ადეკვატურად ვეღარ შეასრულონ. თანამშრომლები შეიძლება გადაიწვიან, ან უბრალოდ სხვაგან, უფრო მისაღებ თანამდებობაზე გადავიდნენ.

ცხრილი 7: შესაძლო ჩარჩო იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი მექანიზმების საკონსულტაციო სტატუსი გააჩნიათ

არასამთავრობო /სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საკონსულტაციო სტატუსი ³²	მაკვალიფიცირებული კრიტერიუმები	არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პრივილეგიების საფუძვლებრივი სისტემა
რეესტრი	არასამთავრობო ორგანიზაცია ან საინფორმაციო სააგენტო კანონიერად დაფუძნებული და რეგისტრირებულია.	ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმისა და ადამიანის უფლებათა საბჭოს შესახებ ელექტრონული სიახლეების, პრეს-რელიზების და ინფორმაციის მიღება (ზოგადი საჯარო ინფორმაცია)

³² ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა შეიტანოს განაცხადი და პერიოდულად გადასინჯოს საკონსულტაციო სტატუსის მოთხოვნა. განაცხადები უნდა შეამოწმოს ადამიანის უფლებათა სამდივნომ სტანდარტული კრიტერიუმების მიხედვით და სტატუსის ხარისხი ადამიანის უფლებათა სამდივნოს რეკომენდაციით მინიჭებული უნდა იქნას თემატური სამუშაო ჯგუფის ან ბიუროს თავმჯდომარის (თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარე/თავმჯდომარეები და მომხსენებელი) მიერ.

		სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიისათვის)
1	<p>ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი და:</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაცია ახდენს საკუთარი სამუშაოს დემონსტრირებას შესაბამის სფეროში ან როგორც მომსახურების გამწევი, ან როგორც უფლებადამცველი ორგანიზაცია</p>	<p>ყველა ზემოხსენებული პრივილეგია და:</p> <p>ელექტრონული სიახლეებისა და ინფორმაციის (მათ შორის მონაწილეთა სია, შეხვედრის დღის წესრიგი და შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებები) მიღება თემატური სამუშაო ჯგუფ(ებ)ის და ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ</p> <p>ოფიციალური წერილობითი წინადადებების ელექტრონულად მიღება, რომლებიც თემატურმა სამუშაო ჯგუფ(ებ)მა ან ადამიანის უფლებათა საბჭომ უნდა განიხილოს</p>
2	<p>ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი და:</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაცია შესაბამისი საკითხის ირგვლივ აქტიურ ჩართულობას ავლენს, რაც მტკიცდება მისი საჯარო ანგარიშებით, საქმიანობებითა და პოზიციის ამსახველი დოკუმენტებით</p> <p>პრიორიტეტული შეფასება უნდა შეთანხმდეს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციასთან ან სექტორულ არასამთავრობო „ქოლგა“ ორგანიზაციებთან</p> <p>საკონსულტაციო სტატუსის განახლებისთვის, თემატური სამუშაო ჯგუფების სამუშაოში</p>	<p>ყველა ზემოხსენებული პრივილეგია და:</p> <p>თემატური სამუშაო ჯგუფ(ებ)ის³³ შეხვედრებისას დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის უფლება</p> <p>შესაბამისი განაცხადებისა და პოზიციის ამსახველი დოკუმენტების³⁴ ადამიანის უფლებათა სამდივნოსთვის წარდგენის უფლება, რათა მოხდეს მათი თემატური სამუშაო ჯგუფ(ებ)ისთვის ელექტრონულად მიწოდება</p> <p>თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრების დროს სიტყვით გამოსვლის უფლება</p>

³³ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა მოეთხოვებოდეთ დამკვირვებლის შეთანხმებული სტატუსის ქონა, რათა თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრებამდე სამდივნოს საკუთარი წარმომადგენლების გვარები მიაწოდონ. უფლებამოსილი წარმომადგენლების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს იმის მიხედვით, თუ ფიზიკურად რამდენი წარმომადგენლის მიღება შეუძლია შესაბამისი ორგანოს.

³⁴ ამგვარად წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მოცულობისა და თემატური სამუშაო ჯგუფ(ებ)ის სამუშაოსთან შესაბამისობის მინიმალურ მოთხოვნებს, როგორც ეს ადამიანის უფლებათა სამდივნოს რეკომენდაციის საფუძველზე თემატური სამუშაო ჯგუფის ან ბიუროს თავმჯდომარის (თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარე/თავმჯდომარეები და მომხსენებელი) მიერ იქნება გადაწყვეტილი.

	მონაწილეობის ხარისხი უნდა იქნას გათვალისწინებული.	
3	<p>ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი და:</p> <p>მითითება დადგენილებაში, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ადამიანის უფლებათა საბჭო, ან სპეციალურ გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებულია ადამიანის უფლებათა საბჭოს ბიუროს მიერ</p>	<p>ყველა ზემოხსენებული პრივილეგია და:</p> <p>ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომებზე დამკვირვებლის სახით მონაწილეობის უფლება</p>

100. საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ ამგვარი რამ არ ხდება, მაგრამ, იმისთვის, რომ მსგავსი სიტუაცია თავიდან იქნას აცილებული, ადამიანის უფლებათა სამდივნოს თანამშრომელთა რიცხვი მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს იმისთვის, რომ გაზრდილი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. აუცილებელია ყურადღება მიექცეს სამდივნოსთვის გამოყოფილი თანამშრომლების რიცხვის ზრდას, რასაც უნდა დაემატოს სხვა დეპარტამენტებიდან თანამშრომლების მივლინება და შესაძლო საუნივერსიტეტო სტაჟირებები. დაგეგმვამ უნდა მოიცვას ტრენინგ შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა მოხდეს ახალი თანამშრომლების, ასევე ადამიანის უფლებათა ახალი პასუხისმგებელი პირების გადამზადება, რაც გამოწვეული იქნება მოსალოდნელი გადაადგილებებით. სამდივნოს, როგორც სამოქალაქო საზოგადოებასთან ძირითადი დამაკავშირებელი რგოლის, როლის გათვალისწინებით, აუცილებელია ყურადღება მიექცეს სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დაფუძნებას, რომელიც ექსკლუზიურად საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე იმუშავებს და იზრუნებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უფრო ფართო ჩართულობაზე ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ასევე სამდივნოს მიერ განხორციელებულ სხვა სამუშაოებში.

ე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, აქტივისტებთან და საზოგადოებასთან მუშაობა

101. ა.წ. 12-14 და 18-20 ივლისს სტეფანწმინდაში სააგენტოს თანამშრომლებთან ტრენინგის დროს ფართოდ იქნა განხილული საზოგადოების ინფორმირების საკითხი,

რომელიც ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმით დაინტერესებულ პირთა ბაზის გაფართოებასა და ადამიანის უფლებებზე ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად. ზოგიერთა მონაწილემ გამოთქვა აზრი, რომ ადამიანის უფლებათა სამდივნომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, უნდა შეიმუშავოს ადგილობრივ მთავრობასა და ადგილობრივ თემთან კომუნიკაციის სტრატეგია და პროგრამა, რომლის საფუძველიც ამჟამად არსებული და წარსულში განხორციელებული ინიციატივები (როგორცაა გასვლითი ღონისძიებები და ტრენინგები) იქნება. ინიციატივა შეიძლება წამოწყებული იქნას კითხვარის გაგზავნით, რათა შემოწმდეს ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების დონე და განისაზღვროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრიორიტეტული პრობლემები. ეს შეიძლება თან დაერთოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმისა და მისი დამხმარე მექანიზმების საინფორმაციო პაკეტს. გასვლითი ვიზიტების, ადამიანის უფლებებზე/ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ ტრენინგების და საჯარო განხილვების ორგანიზებამ ადგილობრივი აქტორების, მათ შორის, მთავრობის წარმომადგენლების გააქტიურება შეიძლება გამოიწვიოს.

102. აღინიშნა, რომ არ არსებობს ისეთი სამართლებრივი მოთხოვნა, ან მექანიზმი, რაც ადგილობრივი თანამდებობის პირებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაზე თანამშრომლობას აიძულებდათ. თუმცა, შესაძლებელია ადგილობრივი მთავრობის მიმართ გაიგზავნოს შეთავაზება, რომ გამოყოფილი იქნას ადამიანის უფლებათა დაცვის ადგილობრივი პასუხისმგებელი პირი, რომელიც შემდგომ ტრენინგებში ჩაერთვება. ამის მსგავსად, ადგილობრივ მთავრობებს შეიძლება ეთხოვოთ, შეიმუშავონ და დაამტკიცონ საკუთარი ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა, რაშიც მონაწილეობას ადგილობრივი თემის აქტივისტები და ლიდერები მიიღებენ. ამგვარი გეგმები კარგი პლატფორმა და საფუძველი იქნება იმისთვის, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება ადგილობრივი წარმომადგენლების ჩართულობით მოხდეს. სახალხო დამცველი აპარატის რეგიონული ოფისები უნდა წახალისდნენ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული პრიორიტეტული პრობლემების გამოვლენასა და მონიტორინგში. ტრენინგები ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომისა და ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაზე კარგი საფუძველი იქნება ამგვარი თანამშრომლობისთვის. ადგილობრივი მთავრობისათვის ადამიანის უფლებების პილოტური პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ისეთ რეგიონში, სადაც ამის საუკეთესო პრაქტიკა არსებობს, რათა შემოწმდეს, თუ როგორ იმუშავებს იგი. წარმატების შემთხვევაში, მოგვიანებით შესაძლებელია მოეწყოს კონფერენცია ქვეყნის მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებზე ცნობიერების კიდევ უფრო ამაღლებასა და ადგილობრივი ძალისხმევების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

103. ადამიანის უფლებათა სამდივნომ უნდა იფიქროს კომუნიკაციის უფრო ფორმალური სტრატეგიისა და პროგრამის შემუშავებაზე, რათა მუშაობა განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან და საზოგადოებრივ ლიდერებთან. აუცილებელია დონორი ორგანიზაციების დამატებითი დაფინანსების მოძიება, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია ურთიერთგაგების შეთანხმებებისა და მემორანდუმების მეშვეობით, რათა ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების განხილვის მიზნით მოხდეს გასვლითი ღონისძიებების, ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება. UNDP-ს მიერ მხარდაჭერილმა კვლევამ, რომელიც ცოტა ხნის წინ

გამოქვეყნდა და ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირებულობას³⁵ ეხება, მომავალი კვლევებისათვის საბაზისო ფუნქცია უნდა შეასრულოს და გათვალისწინებული იქნას სტრატეგიისა და აქტივობების შემუშავებისას.

VI. დასკვნები

104. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა და მისი მხარდამჭერი პროცესები და მექანიზმები საერთაშორისო დონეზე საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშია. მთავრობის არც თუ ხანგრძლივმა, მაგრამ ინტენსიურმა გამოცდილებამ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან მიმართებაში, რაც 2014 წლიდან დაიწყო, კომბინირებულმა მის სოლიდურ გამოცდილებასთან, რაც სხვა ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებას უკავშირდება, გვიჩვენა, თუ როგორ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა და ინსტიტუციონალიზაცია. ქართული გამოცდილება იმგვარი ნიმუშია, რამაც პოტენციურად შესაძლოა საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმის პრაქტიკა საგანგებო, ხშირად ერთჯერადი ღონისძიებიდან ანგარიშგებისა და რეკომენდაციებზე რეაგირების მუდმივმოქმედ ეროვნულ მექანიზმებად გარდაქმნას. საქართველოს შემთხვევაში, რეაგირება არა მხოლოდ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოების ავტორიტეტულ რეკომენდაციებზე, არამედ სახელმწიფო ორგანოებისა და საბჭოების, სახალხო დამცველის ოფისის, პროცესში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებზე ხდება.

105. საქართველოში გამოწვევაა, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე იყოს ადაპტირებული, ითვალისწინებდეს მიღებულ გაკვეთილებს, აერთიანებდეს მთავრობის ადამიანის უფლებების თემაზე არსებულ მრავალრიცხოვან ინიციატივებს თანმიმდევრულ და რეალისტურ შემოთავაზებებში იმისთვის, რომ ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს და სრული დატვირთვით განხორციელდეს. შევისწავლე რა მრავალი ქვეყნის ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველო ის ქვეყანაა, რომლის მაგალითზეც მომავალი ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმის პრაქტიკოსები გამოცდილებას შეიძენენ. ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ საშუალება მომეცა წვლილი შემეტანა მისი განხილვის პროცესში.

* * * * *

³⁵ „ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა“, ACT, 2017.

დანართი I: 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმაში უწყებათა მონაწილეობის ანალიტიკური მიმოხილვა

ა. წამყვანი განმახორციელებელი უწყებები (37) საქმიანობების (499) მიხედვით

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია – 9
2. საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი – 1
3. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი – 2
4. “საქართველოს მთავრობა” – 32
5. (საქართველოს მთავრობის) ადამიანის უფლებათა სამდივნო – 11
6. იუსტიციის უმაღლესი საბჭო – 18
7. იუსტიციის უმაღლესი სკოლა – 2
8. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო - 2
9. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო – 3
10. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო – 2
11. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 9
12. საქართველოს სასაქვლადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო – 75
13. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო – 11
14. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – 2
15. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 62
16. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – 8
17. (გარემოს დაცვის სამინისტრო) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი – 2
18. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – 4
19. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – 21
20. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია – 3
21. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – 46
22. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – 18
23. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი – 4
24. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი – 2
25. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 58
26. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 4
27. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – 3
28. პრობაციის ეროვნული სააგენტო – 9
29. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი – 12
30. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 3
31. საქართველოს სახალხო დამცველი – 2
32. საქართველოს პროკურატურა – 41
33. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო – 8
34. ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შექმნილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე) – 2

35. უზენაესი სასამართლო – 1
36. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია – 1
37. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია – 5

სულ საქმიანობები – 499 (და კიდევ ორი საქმიანობა, რომელიც არ არის მითითებული: 1.3.1.7.1 და 1.3.8.1.)

ყველაზე მეტად ჩართული უწყებები: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (75); განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (61); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (58); ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (46); პროკურატურა (41); “საქართველოს მთავრობა” (32). ჯამი არის 313, 60%-ზე მეტი.

ბ. დამატებითი უწყებები, რომლებიც 2016-2017 წლების ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მითითებულები არიან, როგორც ერთეულები, ვისთანაც თანამშრომლობა ხორციელდება (25)

1. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
2. საერთაშორისო განათლების ცენტრი
3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
4. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
5. შპს „საქართველოს მელიორაცია“
6. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
7. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
8. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის უწყებათაშორის სამთავრობო საბჭო, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის #111 დადგენილებით
9. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
10. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
11. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
12. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
13. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
14. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
15. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
16. გამოცდების ეროვნული ცენტრი
17. სურსათის ეროვნული სააგენტო
18. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
19. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
20. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
21. საჯარო სამსახურის ბიურო
22. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

23. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო
24. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
25. ზურაბ ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

დანართი II: საქართველოს მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპები³⁶ მულტი-სექტორული სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგებაზე

4.3. მულტი-სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და ანგარიშგება

მონიტორინგისა და ანგარიშგებისა სიხშირე

მულტი-სექტორული/სექტორული სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგი წლიური საქმიანობის ანგარიშის შედგენით ხდება. ანგარიში ყურადღებას ამახვილებს მიზნების მიღწევაზე და ადარებს მათ საქმიანობის ინდიკატორებთან. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ძირითად მიღწევებზე და განხორციელებულ რეფორმებზე. დოკუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშს.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგზე ანგარიში წელიწადში ერთხელ დგება. თუმცა, მონიტორინგის ანგარიში შეიძლება ყოველ ექვს თვეში ერთხელ, კვარტალში ერთხელ, ან საჭიროების მიხედვით, უფრო ხშირადც შედგეს.

მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურები

წლიურ ანგარიშთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაციას უნდა ეწეოდეს წამყვანი სამინისტრო, რომელიც მულტი-სექტორული/სექტორული სტრატეგიის შემუშავებაზეა პასუხისმგებელი. ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მიზნების მიღწევაზე და საქმიანობების განხორციელებაზე, მონაწილეობა უნდა მიიღონ მონიტორინგში და ინფორმაცია წამყვან სამინისტროს მიაწოდონ. წამყვანმა სამინისტრომ შეიძლება მიზნების მიღწევაზე და საქმიანობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებს ინფორმაციის წარდგენის მითითებები გაუზიაროს.

წამყვანი სამინისტრო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაზე მონიტორინგის შესახებ ანგარიშს მონაწილე ორგანიზაციებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს და დაინტერესებულ მხარეებს უგზავნის. ანგარიშის შემოთავაზებული სტრუქტურა მოცემულია დანართში # 3.

დანართი №3: მულტი-სექტორული/სექტორული სტრატეგიის წლიური ანგარიშის სტრუქტურა

იმპლემენტაციის შესახებ ანგარიშის საბოლოო სტრუქტურა დამოკიდებულია სტრატეგიის საბოლოო სტრუქტურაზე.

1. შეჯამება

ეს ნაწილი მოიცავს მოკლე ინფორმაციას საქმიანობის ინდიკატორების საფუძველზე თითოეული მიზნის მიღწევის შესახებ, ასევე ინფორმაციას ძირითადი რეფორმების

³⁶ აღებულია “პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოდან”, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2016.

შესახებ. საქმიანობათა მნიშვნელობა განისაზღვრება მათი ზემოქმედების ზღვრებით, დღის წესრიგში მათი როლითა და ადგილით, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოთქმული ინტერესით. იმისთვის, რომ უფრო უკეთ მოხდეს მიღწევათა ილუსტრირება, შესაძლებელია გრაფიკების, ცხრილებისა და სქემების გამოყენება.

ეს ნაწილი მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიმღებთა, ზოგადად საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებას.

2. ამოცანის მიღწევა

ეს ნაწილი აღწერს ეროვნული განვითარების სტრატეგიის თითოეული მიზნის მიღწევის პროცესს.

2.1. პროგრესი ამოცანის მიღწევაში

ეს ქვე-თავი წარმოადგენს ინფორმაციას თითოეული მიზნის მიღწევასთან დაკავშირებულ პროცესებზე, რაც საქმიანობის ინდიკატორის საფუძველზე დაყრდნობითაა აღწერილი. ინფორმაცია უნდა გვაჩვენებდეს, საქმიანობის ინდიკატორი შესრულდა, თუ არა. იგი ასევე უნდა აღწერდეს რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობებს. ვიზუალური მხარისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას გრაფიკები, სქემები და ცხრილები.

თითოეული ქვე-თავი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- 1) ძირითადი მიღწევების შეფასება საქმიანობის ინდიკატორების გამოყენებით (სქემები უნდა იქნას გამოყენებული);
- 2) წარმატების ისტორიები;
- 3) პრობლემების/წარუმატებლობის შეფასება;
- 4) დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები.

სამოქმედო გეგმა

ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თითოეული საქმიანობის განხროციელების შესახებ.